ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 25 თებერვალი, 2019 | №46 (8000) | ფასი: 60 თეთრი

შსს-მ ზვიად კუპრავა დააკავა

გვ.2

22 თებერვლიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ირმა ინაშვილი და ეკა ბესელია ერთიანდებიან?

გვ.3

კახა კალაძე თავის პოლიტიკურ გუნდს ქმნის

„მამუკა ხაზარაძე პოლიტიკაში ახალ კოალიციას შექმნის“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ყველა ბიზნესმენი, რომლებსაც ხელისუფლება უპირისპირდება, ბოლოს პოლიტიკაში მიდის“

დემურ გიორგელიძე: „ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა, კერძო ბანკებს ჭკუა ასწავლოს“

გვ.5

გვ.3

როგორ იგებს ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი სახელმწიფო ტენდერებს

სამართალი გვ.7

ბინის რემონტის გამო დაწყებული ჩხუბი ზვიად ჯაფარიძის მკვლელობით დასრულდა

დავით გულიაშვილი: „ფარცხალაძის ახლობელმა იარაღი სახეში რამდენიმეჯერ ჩამარტყა“

ირინა ონაშვილის გაქურდვისთვის თბილისში ნ.მ. დააკავეს

სამხარაულის ექსპერტმა სეიფიდან ათიათასობით ლარის ოქრო და ბრილიანტი მოიპარა

„პატიმარზე ცოცხით სექსუალური ძალადობა ბედუკაძის დადგმული სცენაა“

რას ყვება პატიმარი

ეკონომიკა გვ.5

თიბისი ბანკს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეზე ახალი სესხებისა და გარანტიების გაცემა აეკრძალა

სამშენებლო ობიექტებზე წესები მკაცრდება

მახინჯაურში რომანოვების ისტორიული სასახლე, შესაძლოა, „ქართუ ჯგუფმა“ აღადგინოს

გვ.6

„საოჯახო სასტუმროებს წყლის ტარიფი, შესაძლოა, 13-ჯერ გაეზარდოთ“

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებულ აფხაზეთში დეპუტატები ნავთობის მოძიების საკითხზე ვერ შეთანხმდნენ

4 კორნელი კაკაჩია: „ოცნების“ რღვევა დაიწყო. მძირავ გემს მალე სხვებიც დატოვებენ“

4 არჩილ ბაქრაძე: „სექსუალური აღზრდის ვიდეოგაკვეთილების გამოქვეყნება სწორი არ არის“

8 რუსებმა იტალიელი მინისტრი მოისყიდეს?!

შსს-მ ზვიად კუპრავა დააკავა

შორენა მარსაგიშვილი

„ისე შემოიჭრნენ, თითქოს პარტიის ოფისი კი არა, ალ ქაიდას ბუნაგი ყოფილიყოს“

რამდენიმე დღის წინ გაერთიანებული ოპოზიციის ოფისში გამაგრებულმა ზვიად კუპრავამ საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს სთხოვა თავშესაფარი. ვიდრე საელჩოებისგან პასუხს მიიღებდა, ჩვენმა სამართალდამცავებმა იყოჩაღეს – შეიჭრნენ ოპოზიციის ოფისში და სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი გაიტაცეს.

როგორც ზვიად კუპრავას მეგობარი და თანამებრძოლი ლაშა ცუცქირიძე ამბობს, პოლიცია ისე შეიჭრა, თითქოს პარტიის ოფისი კი არა, ალ ქაიდას შტაბი იყო.

– გახარიასა და ივანიშვილის ზონდერები 24 თებერვალს, დილის 07.40 წუთზე შემოიჭრნენ. ისე შემოცვივდნენ, თითქოს პარტიის ოფისი კი არა, ალ ქაიდას ბუნაგი ყოფილიყოს. მათ ზვიადი გაიტაცეს. პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას, – ამბობს ლაშა ცუცქირიძე.

პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებაზე საუბრობს კუპრავას კიდევ ერთი თანამებრძოლი ნინია ცისკარიშვილი. მისი თქმით, პოლიცია ქალების ცემასაც კი არ მოერიდა.

– ივანიშვილის ხელის ბიჭის, გახარიას ზონდერებმა მთელი ოფისი დაარბიეს.

ხელი დაარტყეს ზვიად კუპრავას მეუღლეს, ხატია თორდიას და გადაუარეს ოფისში მყოფ ქალს, რომელსაც სასწრაფო დახმარების დახმარება დასჭირდა. ამაზე აუცილებლად აგებს პასუხს ივანიშვილი, – ამბობს ცისკარიშვილი.

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის დაკავებას ოპოზიციაში დიდი და მწვავე გამოხმაურება მოჰყვა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მურთაზ ზოდელავა ამბობს, რომ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის დაკავება პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

– ჩვენ ყველანი თვალყურს ვადევნებთ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას, რომელიც აწარმოეს ზვიად კუპრავასთან მიმართებით. ის არის ოპოზიციის გამორჩეული ლიდერი და ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მას დასჯიდნენ იმიტომ, რომ ის იყო აქტიური.

გახარიას უწყებამ მიიღო ეს დავალება, როგორც ყოველთვის, ივანიშვილისგან და მათ ყველაფერი მოიმოქმედეს იმისთვის, რომ გაენეიტრალებინათ ის და მოეთავსებინათ ციხეში. ეს მოხდა იმავე მექანიზმით, რომელსაც ამ ბოლო პერიოდში იყენებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეს არის ორი აბსურდული ბრალის მექანიზმი. პირველი აბსურდული ბრალის დროს ხდება გირაოს შეფარდება და შემდეგ მეორე აბსურდული ბრალის საფუძველზე ხდება ამ გირაოს გაუქმება და მსხვერპლის, ამ შემთხვევაში, ზვიად კუპრავას დაკავება, – აღნიშნა ზოდელავამ.

ყოფილი მთავარი პროკურორის თქმით, აღნიშნული მექანიზმი გამოიყენეს დავით კირკიტაძის მიმართ. ზოდელავა დარწმუნებულია, რომ ეს პრაქტიკა სხვა ოპოზიციონერების გასანეიტრალებლადაც იქნება გამოყენებული.

– მოხდება სხვა ლიდერების დაკავებაც, რადგან „ქართულ ოცნებას“ ძალიან ეშინია. მათ ყველაზე მეტად ხალხის უკმაყოფილების შიში აქვთ. ახლა ისინი ცდილობენ, გაანეიტრალონ ის ადამიანები, რომლებსაც ასეთ ვითარებაში აქტიურობის უნარი აქვთ.

მურთაზ ზოდელავა დარწმუნებით აცხადებს, რომ ასეთი მეთოდებით ივანიშვილი და „ოცნება“ სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწევენ.

– ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ, ბატონო გახარია, არავის ეშინია თქვენი. შიში თქვენ გეტყობათ, რაც ხდებოდა ბოლო 48 საათის განმავლობაში. შს სამინისტროს დაეტყო, რომ კუპატაძე, ეს ცნობილი ზონდერი აღარ არის სამინისტროში, ეტყობა, გახარია ახალი ზონდერის მოძიების პროცესში იყო და ეს მოახერხეს 48 საათის განმავლობაში, – ამბობს ყოფილი მთავარი პროკურორი.

კუპრავას დაკავებამ აღაშფოთა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა. თბილისის ყოფილი მერი მიიჩნევს, რომ საკადრისი პასუხის გაცემის დრო დადგა.

– ყოჩაღ! სოჭი კი არა, სტავროპოლი აიღეს! ყველა ავტორიტარული რეჟიმი თავის მურუსიძის სასამართლოს განჩინებას იშველიებს. ყველაზე ამაზრზენი ახლა დაიწყება – ფუფ, არ მევასება კუპრავა.

პ.ს. მეორე ლოყის მიშვერა ამოიწურა. ასეთ დროს რჩება მხოლოდ – კბილი კბილის წილ, – დაწერა სოციალურ ქსელში უგულავამ.

საგანგებო განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც.

– 2019 წლის 24 თებერვალს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა ზვიად კუპრავას დაკავება.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2018 წლის 11 ივნისს ზვიად კუპრავამ სასამართლოს შენობაში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლეს, რისთვისაც მას ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლით (სასამართლოს უპატივცემულობა). აღნიშნული დანაშაულისთვის ზვიად კუპრავას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო, იმ მიზნით, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენა და უზრუნველყოფილიყო სამართალდამცავ ორგანოში/სასამართლოში მისი გამოცხადება.

სასამართლოს უპატივცემულობის შემდეგ გირაოს ქვეშ მყოფმა ზვიად კუპრავამ ასევე სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატს. აღნიშნული ქმედებისთვის ზვიად კუპრავას სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ვინაიდან მან თავი აარიდა სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას.

გირაოს პირობების დარღვევის – ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენის, სამართალდამცავ ორგანოში არგამოცხადების, მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების – გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის 21 თებერვალს ზვიად კუპრავას გირაო შეეცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომა ჩატარდა ზვიად კუპრავას გარეშე, ვინაიდან ბრალდებულმა თავი აარიდა მართლმსაჯულებასაც. 2019 წლის 24 თებერვალს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განხორციელდა ზვიად კუპრავას დაკავება. დაკავების პროცესი აღბეჭდილია პოლიციის სამხრე კამერებზე, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ირაკლი კობახიძე: „ყველას ვურჩევ, ემოციურ ფონზე განცხადებები არ გააკეთონ“

– ეს იყო პროცესების ლოგიკური გაგრძელება, – ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ეკა ბესელიას, ლევან გოგიჩაიშვილისა და ბექა ნაცვლიშვილის მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვებას.

ირაკლი კობახიძის თქმით, მას არ სურს ემოციურ ფონზე გაკეთებული განცხადებების შეფასება.

– ამ პროცესებს ჩვენ თვალყურს ვადევნებდით ყველა ერთად. რაც შეეხება განცხადებებს, ემოციურ ფონზე გაკეთებულ განცხადებებს მე კომენტარს არ გავუკეთებ, ასე აჯობებს ალბათ და ყველას ვურჩევ, ემოციურ ფონზე, ზოგადად, არ გააკეთონ ხოლმე განცხადებები, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, იმსჯელეს თუ არა პოლიტსაბჭოს სხდომაზე გუნდიდან ცალკეული წევრების გარიცხვაზე, ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ პოლიტსაბჭოს სხდომაზე გუნდში არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია გუნდის ერთიანობის შენარჩუნება.

– ზოგადად, მსჯელობა ყველაფერთან დაკავშირებით გაგრძელდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბუნებრივია, გუნდის ერთიანობის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით გვექნება მსჯელობა გუნდის შიგნით. ჩვენ გვქონდა, ზოგადად, გუნდში არსებულ მდგომარეობაზე მსჯელობა და ამაზე გაგრძელდება დისკუსია, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ინტერპრესნიუსი

ბაჩუკი ქარდავა: „ვუახლოვდებით ზღვარს, როცა სიტყვა რევოლუცია ლეგიტიმური ხდება და მას აწყობს არა ოპოზიცია, არამედ ხელისუფლება“

ზვიად კუპრავას დაპატიმრებას ეხმაურება გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, ედპ-ის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა.

– ხშირად ვიმეორებთ, რომ საქართველოში ივანიშვილის შერჩევითი სამართალია. არა, ბატონებო, საქართველოში უსამართლობა მძვინვარებს, რომელიც აუცილებლად ქვეყანას, სახელმწიფოს დაგვაკარგვინებს! დიდი ნაბიჯებით ვუახლოვდებით იმ ზღვარს, როდესაც სიტყვა რევოლუცია ლეგიტიმური ხდება და მას აწყობს არა ოპოზიცია, არამედ ხელისუფლება, ხოლო ბოლო წერტილს სვამს ხალხი! გახარიამ როგორც არ უნდა მოჭუტოს თვალი, ოპოზიციის ოფისში შეჭრა, პოლიტიკური მოტივით დაკავებების მომრავლება შიშის ნიშანია! შეშინებული კი უშვებს შეცდომებს. დასასრულიც შესაბამისი და ლოგიკური იქნება! – წერს ქარდავა სოციალურ ქსელში.

ნიუპოსტი

4.000-ლარიანი კომპენსაცია

ტყიბულის მერის მოადგილის მამას თანხის უკანონოდ მიღებაში ადანაშაულებენ

საწირეთის მოსახლეობა აცხადებს, რომ ტყიბულის მერის მოადგილე გიორგი ლომთაძის ოჯახის სახლი სტიქიისგან დაზარალებული შენობების ჩამონათვალში სრულიად უმიზეზოდ მოხვდა. მეზობლები ამბობენ, რომ შარშანდელი სტიქიის დროს მერის მოადგილის სახლი საერთოდ არ დაზიანებულა.

ზარალის შემსწავლელმა კომისიამ მერის მოადგილის სახლის დაზიანების ხარისხი 4.000 ლარად შეაფასა და ამ თანხის ღირებულების გადასახური მასალა გადასცა.

ტყიბულის მერის მოადგილის მამა, თენგიზ ლომთაძე, რომელიც საწირეს თემში მერის რწმუნებულია, ამბობს, რომ სტიქიის შედეგად მისი სახლის სახურავი მცირედით დაზიანდა. კითხვაზე, რატომ არ გამოიყენა მისთვის გამოყოფილი 4000 ლარის მასალა ამ დრომდე სახურავის შესაკეთებლად, პასუხობს, რომ სახლის სახურავი ძველი მასალით შეაკეთა.

თენგიზ ლომთაძეს საწირის საბავშვო ბაღის დირექტორი მზის ენერგიაზე მომუშავე წლის გამათბობლის უკანონოდ მოჭრასა და თვითნებურად წაღებაში ადანაშაულებს. მზის გამათბობელი ლომთაძის სარდაფში ინახება და ამბობს, რომ შეკეთების შემდეგ თემის სხვა სოფლის ბაღისთვის გადაცემას გეგმავს.

ნიუპოსტი

თამარ ჩუგოშვილი: „საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკარგვა ტრაგედია არ არის“

პარლამენტის ვიცესპიკერ თამარ ჩუგოშვილის თქმით, ეკა ბესელიას უმრავლესობიდან წასვლა სამწუხარო ფაქტია. მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკარგვა ტრაგედია არ არის.

„საკონსტიტუციო უმრავლესობა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ზედმეტია. ნამდვილად არ გამოვეტირები. მე, პირადად, არა მგონია სწორი და კარგი რამ, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

პარლამენტში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებასა“ და საპარლამენტო უმრავლესობას ტოვებს. დეპუტატმა განაცხადა, რომ ის პარლამენტში დამოუკიდებელ დეპუტატად რჩება. მანვე აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს პოლიტიკური პლატფორმის შექმნას.

მედიანიუსი

ანატოლი ბიბილოვი: „საქართველოსთან პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ“

– ჩვენ გვაქვს მთავარი მოთხოვნა, რომელიც ქართულმა მხარემ უნდა შეასრულოს. საუბარია ძალის გამოუყენებლობის შესახებ მემორანდუმზე.

ამის შესახებ ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა რუსულ გამოცემა „იზვესტიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– მზად ვართ საქართველოსთან პირდაპირი მოლაპარაკებებისთვის ან თუნდაც შუამავლების მეშვეობით მოხდეს ეს დიალოგი. რა თქმა უნდა, გვსურს, რომ შუამავალი რუსეთი იყოს. ამავდროულად, ჩვენ გვაქვს მთავარი მოთხოვნა, რომელიც ქართულმა მხარემ უნდა შეასრულოს. საუბარია ძალის გამოუყენებლობის შესახებ მემორანდუმზე. სამხრეთ ოსეთის ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ქართულ მხარეს ვალდებულება ექნება აღებული ამ მემორანდუმით და არ გამოიყენებს სამხედრო ძალას. ვიდრე ეს არ მოხდება, სალაპარაკო არაფერი გვაქვს, – განაცხადა ანატოლი ბიბილოვმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მამუკა ხაზარაძე პოლიტიკაში ახალ კოალიციას შექმნის“

ვახტანგ ძაბირაძე: „ყველა ბიზნესმენი, რომლებსაც ხელისუფლება უპირისპირდება, ბოლოს პოლიტიკაში მიდის“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, 2020 წლის არჩევნებზე რა შანსები აქვს უკვე გაყოფილ „ქართულ ოცნებას“? უმრავლესობის დეპუტატმა რომან კაკულიამ განაცხადა, რომ თუ მმართველმა პარტიამ ასე გააგრძელა, მაშინ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ წარმავალი ძალა იქნება და მესამე უნდა გამოჩნდეს.

– „ქართული ოცნებისთვის“ პოლიტიკური პროცესები რთულად მიდის. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ივანიშვილი რასაც ამომრჩეველს დაჰპირდა, არაფერი გაუკეთებია. თუ ივანიშვილს უნდა, რამე შეცვალოს, მაშინ ის უნდა დაბრუნდეს, როგორც პრემიერი, თან მას ამისთვის სულ უფრო ცოტა დრო რჩება. მერე უკვე ძალიან გვიან იქნება.

2020 წლისთვის, თუ ასე გაგრძელდა ყველაფერი, ხმების თხოვნა აღარ გამოვა, შედეგი არ ექნება. მეორე ტურში ამომრჩეველმა ხმა მისცა არა ივანიშვილს ან ზურაბიშვილს, არამედ ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ. ეს იყო იძულებითი არჩევანი. ეს ამომრჩეველი, რომელმაც იძულებითი არჩევანი გააკეთა, დღეს ძალიან გაბრაზებულია. ნაციონალების მიმართ შიში ვეღარ იმუშავებს 2020 წელის არჩევნებზე.

დღეს ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ თანაბარი ამომრჩეველი ჰყავთ, თან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ოცნების“ განაყოფიც სწორედ 2020 წლისთვის ემზადება.

მეორე ტურში რაც იყო გადამწყვეტი, გითხარით. ამომრჩეველი, რომელიც ახლა გაბრაზებულია და რომელიც არც „ოცნების“ ამომრჩეველია და არც ნაციონალების, მესამე ძალას ელოდება.

– შეიძლება, ეს ბესელია იყოს?

– ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული, ასე მარტივი არ არის.

„ქართულმა ოცნებამ“ თავისი ამომრჩეველი რომ დაიბრუნოს, მას მთლიანად ცვლილება მოუწევს არა მხოლოდ საკუთარი ძალების, რესურსების, არამედ ყველაფრის.

– ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მესამე ძალა გაჩნდეს?

– ცარიელი ადგილი არ რჩება, ეს ბუნების კანონზომიერებაა. მოთხოვნილება არსებობს და მიწოდებაც იქნება. საზოგადოება ეძებს გამოსავალს. დღეს ეს არ ჩანს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ ასეთი ძალა არ გამოჩნდება.

„ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ყველაფერს გააკეთებენ, რომ ასეთი ახალი ძალა არ გამოჩნდეს, რადგან ამ შემთხვევაში ორივე ჩაიძირება.

დღეს „ქართული ოცნება“ არათუ არ ცდილობს, ამომრჩეველი დაიბრუნოს, არამედ, პირიქით, თითქოს განზრახ აკეთებს ყველაფერს საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ და ამის მაგალითებია თუნდაც მოსამართლეების საკითხი, თიბისის საქმე და ა.შ. რას მოუტანს ეს ხელისუფლებას, ვერაფერს გეტყვით, კარგს რომ არაფერს, ცხადია.

– პოლიტიკაში გადამწყვეტი ფაქტორი ფინანსებია. ივანიშვილი ქვეყანაში ყველაზე მდიდარი ადამიანია. ამ შემთხვევაში რა გამოდის?

– ფინანსები არის დამატებითი ფაქტორი და არა – უმთავრესი. 2002-2003 წლებში, გნებავთ, 2011-2012 წლებში ფინანსები იყო დამატებითი ფაქტორი და არავითარ შემთხვევაში – გადამწყვეტი. ორივე პერიოდში პოლიტიკური რეალობა უკვე გადაწყვეტილი იყო ყოველგვარი დამატებითი ფაქტორების, ამ შემთხვევაში – ფინანსების გარეშე.

2011 წელს ძალაუფლება ქუჩაში ეგდო, მოვიდა ივანიშვილი, ეს ძალაუფლება აიღო და ამ შემთხვევაში მისი ფინანსები არ ყოფილა გადამწყვეტი.

გარდა ამისა, ბადრი პატარკაციშვილის მაგალითი შემიძლია გავიხსენო. არც ბადრი პატარკაციშვილი იყო ჯიბეგაფხეკილი, მასაც სერიოზული ფინანსები ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ანუ ძალაუფლება ვერ აიღო. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ გადაჭარბებულია, როდესაც ამბობენ, რომ პოლიტიკაში ყველაფერი ფულია. ასე ნამდვილად არ არის. როდესაც პროცესი ზღვარზეა მისული და ამას ხედავს ყველა, მაშინ უკვე ყველაფერს განსაზღვრავს ხალხი და ხალხის ნება.

– ხაზარაძე ეცდება პოლიტიკაში წასვლას?

– მგონია, რომ ეცდება. ყველა ბიზნესმენი, რომლებიც ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ თავიანთი ბიზნესის დასაცავად, მერე უკვე პოლიტიკაში მიდიოდა. ეს ისტორიული რეალობაა ჩვენთან. ასე იყო 90-იანებში მრეწველების შემთხვევაში, ასე იყო ბადრი პატარკაციშვილის შემთხვევაში და თავად ბიძინა ივანიშვილის შემთხვევაშიც.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ მამუკა ხაზარაძე პოლიტიკის გზას დაადგება. ადრე თუ გვიან მას მოუწევს პოლიტიკაში შემოსვლა, მაგრამ, რამდენად სწორად მოიქცევა, ეს არის მთავარი კითხვა.

თავის დროზე ივანიშვილმა ეს შეძლო. კი ბატონო, მაშინ ქუჩაში ეგდო ძალაუფლება, მაგრამ აღება იყო საჭირო. ბევრი ეცადა მის აღებას, მაგრამ ასეთი მარტივიც არ აღმოჩნდა.

ხაზარაძის ევროპული იმიჯი აშკარაა და წინა პლანზე მოდის. მან თქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს ანაკლიის პორტის ასაშენებლად. ეს რასაც ნიშნავს, გასაგებია. ეს არის გზავნილი, რომ ის ამით რუსულ ინტერესებს უპირისპირდება და დასავლეთს, ამერიკასა და ევროპას კარტბლანშს აძლევს.

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მივიღოთ დასავლური ორიენტაციის, ფინანსურად ძლიერი პოლიტიკური ფიგურა. თუ ამის საპირწონე იქნება ნაციონალები და „ოცნება“, მაშინ ყველაფერი გასაგებია.

პოლიტიკური მოზაიკა ისე ლაგდება, რომ კვლავ კოალიცია იქმნება, ამჯერად მამუკა ხაზარაძის ლიდერობით. მე არ ვამბობ, რომ ეს შეთანხმებული თუ წინასწარ დაწერილი სცენარია და ასე მოხდება ყველაფერი, მაგრამ აქეთკენ მიდის საქმე. ეს ცალსახად ჩანს.

ირმა ინაშვილი და ეკა ბესელია ერთიანდებიან?

კახა კალაძე თავის პოლიტიკურ გუნდს ქმნის

შორენა მარსაგიშვილი

ამ კვირაში ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ დეპუტაციასთან იწყებს შეხვედრებს. როგორც მმართველ პარტიაში ამბობენ, პარტიის მამა დეპუტატებს ნაწილ-ნაწილ შეხვდება.

ამ შეხვედრებზე გადაწყდება რამდენიმე დეპუტატის პარტიიდან გარიცხვა-არგარიცხვის საკითხი.

არაოფიციალური ინფორმაციით, გარიცხვა ოთარ ჩრდილელს, კობა ნარჩემაშვილს, ლევან კობერიძეს, ზვიად კვაჭანტირაძეს, ბიძინა გეგიძეს, რევაზ არველაძესა და ალექსანდრე ერქვანიას ეშუქრება.

გასარიცხთა შორის იქნებოდნენ ეკა ბესელია, ლევან გოგიჩაიშვილი და გედევან ფოფხაძე, მაგრამ ისინი საკუთარი ნებით წამოვიდნენ.

მედიაში უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ ამ გარიცხული დეპუტატებისგან ივანიშვილი მის მიერ მართულ ოპოზიციას შექმნის, რომლის მთავარი სულისკვეთება ანტინაციონალური განწყობა იქნება.

ამ დეპუტატების უკან რომ ივანიშვილი დგას, ამ ვერსიას ისიც აძლიერებს, რომ ამბოხებულები პარტიის მამაზე აუგს არ ამბობენ.

ივანიშვილზე აუგი ვერაფრით დააცდენინეს გაცეცხლებულ ეკა ბესელიასაც. „ოცნების“ ლიდერზე ძვირს არც პატრიოტთა ალიანსი ამბობს, რომელსაც მმართველმა პარტიამ რეზოლუცია ჩაუგდო. ამ რეზოლუციის მიხედვით, წინა ხელისუფლება დამნაშავე რეჟიმად უნდა გამოცხადებულიყო.

გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილის ლოცვა-კურთხევით შეიძლება ბესელია და ინაშვილი ერთ პარტიაში გაერთიანდნენ და ოლიგარქის დასაყრდენ ძალად იქცნენ.

ბესელიასთან საერთო ენის გამონახვამდე ინაშვილი „ოცნების“ იმ დეპუტატებს ემუქრება, რომლებმაც მათ რეზოლუციას არ დაუჭირეს მხარი.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერი განსაკუთრებით თამარ ჩუგოშვილზეა განრისხებული. „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა და პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციის ალაგმვა სწორი არ არის.

– ვიდრე პარლამენტში შემოვიდოდით, ჩვენს ამომრჩეველს დავპირდით, რომ აუცილებლად დავაყენებდით წინა რეჟიმის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასების საკითხს. ეს პირობა შევასრულეთ. მეტიც, ამ რეზოლუციის მხარდამჭერი 400 ათასი

ხელმოწერა შეგროვდა. რვა თვის განმავლობაში უმრავლესობა მიზანმიმართულად აჭიანურებდა ამ პროექტის კენჭისყრაზე გამოტანას. ჩემი დიდი ძა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

როგორ იგებს ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილი სახელმწიფო ტენდერებს

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ოლიგარქი და მისი ნათესავები საქართველოს ბიუჯეტს შიგნიდან ხრავენ“

შორენა მარსაგიშვილი

ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილისა და მისი გავლენების შესახებ საქართველოში ყველას სმენია. გავლენიანი პირის გავლენიანი ნათესავი გავლენების არეალის გაფართოების გამო არაერთ სკანდალში გაეხვია. მასთან შედარებით მისი ძმა, არჩილ მამაცაშვილი, უცოდველ კრავად გამოიყურება, მაგრამ, როგორც ირკვევა, მასაც შესძლებია ფულის შოვნა.

მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ დაადგინა, რომ არჩილ მამაცაშვილის კომპანიას უამრავი ტენდერი აქვს მოგებული და სახელმწიფო სტრუქტურებმა მას ლამის 2.5 მილიონი გადაურიცხეს.

„მედიატორის“ წარმომადგენლის, დიმიტრი ბიძინაშვილის მტკიცებით, მამაცაშვილი ტენდერებს თავისი დეიდაშვილის, ქვეყნის არაფორმალური მმართველის ლოცვა-კურთხევით იგებს.

– ყველა ჩვენგანს ხშირად მოუსმენია, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელსაც არაფერი სჭირდება ქართველი ხალხისგან და მხოლოდ მათი დახმარების სურვილი აქვს. ჩვენ, მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ არაერთი ოფიციალური დოკუმენტი წარმოვადგინეთ, რომ ივანიშვილი მილიონიან ქონებას მიზერულ ფასად ეპატრონება. მისი მომხრეები მაინც გაიძახიან, ეს კაცი საქართველოს სჭირდებაო.

ჩვენ ხელთ გვაქვს არაერთი მტკიცებულება, რომ ივანიშვილი საქართველოს ბიუჯეტს აზის. მარტო ეგ რომ აჯდეს, რა გვიჭირდა, საქართველოს ბიუჯეტით იკვებება მთელი მისი სანათესავო. ბიუჯეტზე ზის მისი დეიდაშვილი არჩილ მამაცაშვილიც, რომელიც სახელგანთქმული უჩა მამაცაშვილის ძმაა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში დიმიტრი ბიძინაშვილი.

მისი განმარტებით, არჩილ მამაცაშვილი არის შპს „დაზღვევის კომპანია ქართუს“ გენერალური დირექტორი.

„მედიატორი“ ამ კომპანიის ტენდერებს ჩაუჯდა და მოგებული ტენდერების რაოდენობა დაუთვალა.

– აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან ამ კომპანიას 2.345.603 ლარი აქვს მიღებული. ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილს უამრავი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სხვადასხვა უწყებასთან. საუბარია სამინისტროებზე, მუნიციპალიტეტებზე.

ესეც მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილი და მისი ნათესავები შიგნიდან ხრავენ საქართველოს ბიუჯეტს.

ისინი საქართველოს ტერიტორიებსაც ხრავენ. უამრავი მიწის ნაკვეთი აღმოჩნდა მათ საკუთრებაში 2012 წლის შემდეგ. დღეს საქართველო არის ოლიგარქის პირადი შპს. ამ ადამიანს მანამდე უყვარს სამშობლო, სანამ ამ სამშობლოს მისთვის და მისი ნათესავებისთვის შეუძლია ფულის მოტანა.

დიმიტრი ბიძინაშვილი კატეგორიულად გამორიცხავს იმას, რომ ოლიგარქმა არაფერი იცის, თუ როგორ იგებს მისი დეიდაშვილი სახელმწიფო ტენდერებს.

– ამ კომპანიის მიერ მოგებული ტენდერების 99% სახელმწიფო უწყებებს უკავშირდება. არა მგონია, ყველა უწყებას მასთან ხელშეკრულების გაფორმების სურვილი ჰქონოდა. ეს ყველაფერი ოლიგარქის ლოცვა-კურთხევით მოხდა.

არ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ეს არჩილ მამაცაშვილის კერძო ბიზნესია და ამის შესახებ ოლიგარქმა არაფერი იცის. ამის არგუმენტად შემიძლია ის გითხრათ, რომ კომპანიის 82% წილის მფლობელი ბანკი „ქართუა“. ბანკი „ქართუ“ ვისაც ეკუთვნის, ეს ყველამ იცის, – აცხადებს ბიძინაშვილი.

„ახალ თაობასთან“ საუბარში „მედიატორის“ წარმომადგენელი იმაზეც ლაპარაკობს, თუ რატომ არ ამბობს ივანიშვილი უარს მისთვის ისეთ უმნიშვნელო თანხაზე, როგორიც 2 მილიონია.

– მილიარდერი ივანიშვილისთვის 2 მილიონი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ის ამ ფულის მითვისებასაც ცდილობს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ის ბოლომდე აპირებს იმ თანხის ამოღებას, რომელიც მას არჩევნებზე დაეხარჯა, – მიიჩნევს „მედიატორის“ წარმომადგენელი.

კორნელი კაკაჩია: „ოცნების“ რღვევა დაიწყო. მძირავ გემს მალე სხვებიც დატოვებენ“

იაგო ნაცვლიშვილი

მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობამ მოსამართლეების უვადო დანიშვნების შეჩერებაზე ბესელიას კანონპროექტი ჩააგდო, უმრავლესობაც და „ქართული ოცნებაც“ დატოვეს ეკა ბესელიამ, ლევან გოგიჩაიშვილმა და გედევან ფოფხაძემ. პარტია სხვა მიზეზის გამო დატოვა ბექა ნაცვლიშვილმაც.

გამოვიდა ინფორმაცია იმაზეც, რომ დეპუტატებმა ივანიშვილ-კობახიძის სახელით მიიღეს გზავნილები, რომ თუ ბესელიას კანონპროექტს მხარს დაუჭერდნენ, პარტიიდან გარიცხავდნენ. მეორე დღეს კი დეპუტატების ნაწილი პარტიაში დაიბარეს და საკუთარი გადაწყვეტილებების გამო ახსნა-განმარტებები მოსთხოვეს, თუმცა დეპუტატები გარიცხვას გადაურჩნენ.

რა ფენომენია დეპუტატების აზრის კონტროლი, როგორ აღიქვამს მას დასავლეთი და რა პროცესები მიმდინარეობს მმართველ გუნდში? – ამ თემებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ დირექტორი კორნელი კაკაჩია საუბრობს:

– რა ფენომენია ის, რომ დეპუტატებს გაუგ ზავნეს შეტყობინებები, რომ ბესელიას კანონპროექტისთვის მხარი არ დაეჭირათ?

– პირველ რიგში, ეს ნიშნავს, რომ „ქართული ოცნების“ დროსაც ისე მიიღება გადაწყვეტილებები, როგორც მისი წინამორბედის, ნაციონალური მოძრაობის დროს. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებები ერთი საერთო ცენტრიდან იმართება. არ ვიცი, ერთი პიროვნების მართვაზე შეიძლება თუ არა საუბარი, მაგრამ ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნების“ ლიდერები ცდილობენ, რომ ბოლომდე ხელი არ გაუშვან „ოცნების“ სადავეებს.

ბოლო პერიოდში ყველა ამჩნევს, რომ, ფაქტობრივად, პარტია დაშლის პირასაა. თუ გავითვალისწინებთ ბოლო მოვლენებს, ეს დადასტურდა კიდეც. რაც მთავარია, ეს არ არის პარტიიდან ბოლო გამოყოფა.

მიუხედავად ამისა, „ოცნების“ ლიდერები ცდილობენ, სადავეები ბოლომდე შეინარჩუნონ და დარჩენილი დეპუტატები რაღაცნაირად შეაჩერონ, რომ არ მოხდეს მთლიანად პარტიული აპარატის კოლაფსი.

– გაიხსენეთ სახელისუფლებო პარტიის ისტორია საქართველოში. ჩვენ ისიც ვიცით, როგორ ხდება ხოლმე რღვევის პროცესი და პარტიული ჩამოშლა მაშინ, როცა რამდენიმე ადამიანი ტოვებს მმართველ პარტიას. ამასაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

– ფაქტობრივად, ეს პროცესი დაწყებულია. ალბათ ეს ფაქტი არ იქნება პირველი და უკანასკნელი. გარედანაც აშკარად ჩანს, რომ თვითონ პარტიის შიგნით სხვადასხვა შეხედულება არსებობს და ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დიდი იმედი არ აქვთ, რომ შემდეგ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. აქედან გამომდინარე ცდილობენ, მძირავი გემი დატოვონ.

ასეთებს ახლო მომავალში კიდევ ვნახავთ, რომლებიც ეცდებიან, პარტიას გამოეყონ და თავი დამოუკიდებლად შეინარჩუნონ, რათა შემდეგ დააკვირდნენ მიმდინარე პროცესებს, თუ როგორ იქნება პარტიული განლაგება პოლიტიკაში, როგორ მოხდება ერთი გემიდან მეორეზე გადასვლა.

– თვითონ „ქართული ოცნება“ ვერ ხვდება, რომ დაშლისკენ მიდის? რატომ არ ცდილობს სასამართლოს თემაზე ნეგატიური ფონის ან თუნდაც საარჩევნო სისტემის შეცვლას?

– მე მგონი, პრობლემა ის არის, რომ თვითონ ხელისუფლება ძალიან აზელილია ამ სასამართლო სისტემაში. იციან, რომ მომავალში შეიძლება ვერ გაიმარჯვონ და ცდილობენ, სასამართლო ხელისუფლება არ დათმონ.

როგორც კი მოდის საქართველოში ახალი ხელისუფლება, წინა რეჟიმის მომხრეების გარკვეულ რეპრესიებს იწყებს. ეს ხდება არა მარტო ეროვნულ, არამედ რეგიონულ დონეზეც.

ადგილობრივი თვითმმართველობებიდანაც, ფაქტობრივად, გაყარეს ხალხი, რომლებიც არჩეული იყვნენ რამდენიმე წლით. ეს მოხდა იმიტომ, რომ ცენტრალური ხელისუფლება შეიცვალა.

ეს რადგან იციან, ისინი ცდილობენ, გაიხანგრძლივონ მმართველობა და გარკვეული გარანტიები მიიღონ. თუ მოხდა ხელისუფლების ცვლილება, სასამართლო ხელისუფლება უკან რომ არ მოუტრიალდეს, ცდილობენ გარანტიების შექმნას.

სამწუხაროდ, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ ისწავლა წინა ხელისუფლებების შეცდომებზე.

– ანუ ხელისუფლებები რეალობის შეგრძნებებსაც კარგავენ?

– რა თქმა უნდა. ეტყობა, სხვის შეცდომებზე მაინც ვერ სწავლობენ, ჰგონიათ, რომ სხვა ხელისუფლებებთან შედარებით მათ იმდენი შეცდომა არ დაუშვიათ ან ფიქრობენ, რომ ხალხი მხარს დაუჭერს. მე მგონი, არსებობს რაღაც ისეთი, ხელისუფლების წყურვილი თუ რაღაცა, რაც ხელისუფლებს რეალობის აღქმას აკარგვინებს, დაშვებული შეცდომებია ფონზე კიდევ უფრო სერიოზულ შეცდომებს უშვებენ და შემდეგ ვიცით, როგორ მთავრდება ეს.

როგორც კი ლიდერი მიდის პარტიიდან, მთელი პარტია იშლება. ერთადერთი გამონაკლისი გარკვეული პერიოდი ნაციონალური მოძრაობა იყო. მერე ისიც დაიშალა რამდენიმე ნაწილად, თუმცა რაღაც ნაწილი მაინც დარჩა.

„ქართული ოცნებაც“ ამ სიტუაციაშია.

– ის როგორ შეიძლება აიხსნას, რომ ვინც აკრიტიკებს ხელისუფლებას, ყველას ნაცმოძრაობას ეძახიან? იმდენად შორს წავიდნენ, რომ არასამთავრობო სექტორის შემდეგ უკვე ბესელიასა და გოგიჩაიშვილსაც კი ნაციონალებს ეძახიან.

– თუ გავიხსენებთ, რა ლოზუნგებით მოვიდა „ქართული ოცნება“, გასაგებია, რომ ისინი ცდილობენ, ის ამომრჩეველი, რომელმაც მას ხმა მისცა და რომლის დიდ ნაწილსაც აღერგია აქვს ნაცმოძრაობაზე, შეინარჩუნონ, ცდილობენ რადიკალური ამომრჩეველი არ დაკარგონ, იციან, რომ არჩევნებზე ამ ამომრჩეველს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, რადიკალური ამომრჩევლის მიმხრობას ასევე ცდილობს „პატრიოტთა ალიანსი“. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ იძულებულია, ცოტა მკვახე განცხადებები გააკეთოს.

თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგა და „პატრიოტთა ალიანსმა“ შემოიტანა რეზოლუცია წინა ხელისუფლების გასამართლებაზე, „ოცნების“ ლიდერებმა უარი თქვეს. ეს იმიტომაც, რომ „ოცნება“ არ არის ერთიანი ორგანიზმი, აქ არის სხვადასხვა ჯგუფი – ლიბერალური, სოციალურ-კონსერვატიული და ასევე მედროვეები. ამ კონგლომერატში ერთიანი აზრი არ არსებობს და ვერც იარსებებს.

– ბესელიამ თქვა, რომ არ ითანამშრომლებს ნაცმოძრაობასთან და მის ნარჩენებთან, ასევე „ოცნებიდან“ წასულები არ აკრიტიკებენ ივანიშვილს. ეს რაზე მეტყველებს?

– ესეც გასაგებია. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მათ არ უნდათ დაწვან ყველა ხიდი ბიძინა ივანიშვილთან მიმართებით. იციან, რომ ფინანსები და ყველაფერი იქ არის და იქიდან იმართება დღეს ქართული პოლიტიკა. მათ ჯერ კიდევ სჯერათ ე.წ. კეთილი ნების. ამბობენ, რომ ივანიშვილი კი არ არის ცუდი, არამედ „ოცნების“ ნაწილმა ისინი გააგდო და მათ ვერ მოახერხეს, ივანიშვილისთვის სიმართლე აეხსნათ. ეს თქმულება ნიშნავს იმას, რომ ერთ დღეს ივანიშვილი სიმართლეს გაიგებს და შემოუბრუნდება გული ამ ნაწილისკენ.

ბესელია და სხვები ამ ეტაპზე ცდილობენ, ივანიშვილისკენ მისასვლელი გზა საბოლოოდ არ დაგმანონ.

ირმა ინაშვილი და ეკა ბესელია ერთიანდებიან?

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლისხმევით, გუშინ გავიდა კენჭისყრაზე. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ „ქართული ოცნების“ 39-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი ამ რეზოლუციას. „ქართულმა ოცნებამ“ პრაქტიკულად ზავი დადო ბოკერიასა და სააკაშვილის პოლიტიკურ ჯგუფებთან.

ძალიან საინტერესოა ისიც, რომ ქალბატონი თამარ ჩუგოშვილი მათ კიდევ ერთხელ მოიხსენიებს მთავარ ოპოზიციურ ძალებად და ძალიან წუხს, თითქოს ჩვენ ვაპირებდით ამ პოლიტიკური ჯგუფების ალაგმვას პოლიტიკური ველიდან. მინდა, ვუპასუხო ქალბატონ თამარს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვაპირებდით და ვაპირებთ და აუცილებლად მოვახერხებთ, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფები და წარსულში მათი საქმიანობა შეფასებული იყოს და გამოცხადდეს დანაშაულებრივ რეჟიმად, მაგრამ ჩვენს რეზოლუციას მომავალში აუცილებლად დაემატება მესამე პუნქტი – „ქართული ოცნების“ ის წარმომადგენლები, რომლებმაც კოაბიტაცია გამოაცხადეს და უღალატეს ქართველ ხალხს, ასევე მოხვდებიან მომავალ რეზოლუციაში, – აცხადებს ინაშვილი.

ინაშვილი-ბესელიას პარტიის გარდა, ივანიშვილმა შეიძლება კიდევ ერთი კონტროლირებადი პარტია შექმნას. „ოცნებაში“ უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ პარტიის გენერალური მდივანი, კახა კალაძე, თავისი პარტიის შექმნას აპირებს.

კახა კალაძეს ამის სურვილი ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჰქონდა. ეს ოცნება მაშინ არ აუხდა, მაგრამ, სავარაუდოდ, ახლა აიხდენს.

თბილისის მერს „ოცნებაში“ მიმდინარე დაპირისპირებიდან თავი ხაზგასმულად შორს უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის გენერალური მდივანია, პარტიულ წიოკში არ ერევა.

ბოლო გარჩევების დროს კი საერთოდ წავიდა საქართველოდან. იმ დროს, როცა მისი თანაპარტიელები მზად იყვნენ, ერთმანეთი მიედეზდემონებინათ, ის სან სიროზე იჯდა და მილანს ქომაგობდა, პიონტეკის გოლზე კი ისე დაეჭყიტა თვალები, რომ ყველა იტალიურმა ტელევიზიამ და გაზეთმა გააშუქა.

კალაძე ცალკე პარტიას შექმნის და, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ეს პარტია ივანიშვილის კონტროლირებადი იქნება. ეს პარტია დაახლოებით ისეთ თამაშს ითამაშებს, როგორსაც გიორგი თარგამაძის ქმდ თამაშობდა სააკაშვილის დროს.

არჩილ ბაქრაძე: „სექსუალური აღზრდის ვიდეოგაკვეთილების გამოქვეყნება სწორი არ არის“

ლელა მდივანი

რა არის პედოფილია, რატომ უჩნდებათ უფროსებს არასრულწლოვნების მიმართ სექსუალური ლტოლვა, როგორია მსგავსი შემთხვევების ისტორიული მაგალითები, რა განსხვავებაა გერონტოფილიასა და პედოფილიას შორის და რატომ აიგივებენ მათ ერთმანეთთან? – ამაზე „ახალ თაობას“ სექსოლოგიური კლინიკა „ლიგის“ დირექტორი, სექსოლოგი არჩილ ბაქრაძე ესაუბრა.

არჩილ ბაქრაძე:

– პედოფილი არის ადამიანი, რომელსაც პატარა ბავშვების მიმართ აქვს სასიყვარულო გამოვლინებები, რაც ნებისმიერ ქვეყანაში დანაშაულებრივი საქმიანობაა სექსუალურ ურთიერთობებში.

ეს მოდის ძველი საბერძნეთიდან. რომში კიდევ იმდენად არ იყო ასეთი ფაქტები. ადრე მამაკაცის თესლს ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას. იმ დროს ეს სასიცოცხლო სითხე იყო. მისი მეშვეობით ერთი ადამიანიდან მეორეზე გადადიოდა მისი თვისობრიობა და ამიტომ ძველ გამოწვრთნილ მეომრებს, რაინდებს, ასე ვთქვათ, უბიძგებდნენ ახალ, პატარა ყმაწვილებთან ცხოვრებისკენ, რომ ამ ახალგაზრდებზეც გადასულიყო ეს მათი თვისება. სწორედ ეს იყო პედოფილიის გამოვლინებები. არ მინდა, მამაკაცების ჰომოსექსუალიზმისა და პედოფილიის აღრევა მოხდეს.

– რატომ უჩნდებათ ბავშვების მიმართ ლტოლვა?

– სექსოლოგიაში არსებობს გადახრები და ცნობილი ფაქტია, როდესაც ახალგაზრდას მოსწონს ასაკში შესული ადამიანი, რასაც გერონტოფილია ჰქვია და არსებობს შემთხვევები, როდესაც ასაკში შესულს მოსწონს პატარა.

როდესაც 72 წლის კაცს მოსწონს 23 წლის გოგო, აქ დანაშაულებრივი არაფერი არ არის, იმიტომ, რომ ის მისთვის პატარაა, მაგრამ სრულწლოვანია. იმ კაცზე კი ვიტყვით, რომ პედოფილია, 23 წლის გოგოები მოსწონსო.

როდესაც 20 წლის მამაკაცს 80 წლის ქალი მოსწონს, ის გერონტოფილია. ქორწინებებიც არსებობს ოდიოზური, როდესაც 80 წლის ქალები გათხოვილან, თუნდაც კოკო შანელი ავიღოთ, ანუ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ პედოფილია და გერონტოფილია. მთავარია, არ ირღვეოდეს კანონმდებლობა და არ მოხდეს ბავშვის გარყვნა, სექსუალურ ურთიერთობებში არასრულწლოვნის ჩათრევა.

– თავად მშობელი რომ ძალადობს შვილზე, ამ შემთხვევაში არ არსებობს დაცვის მექანიზმი?

– არის მთელი საკანონმდებლო ნუსხა, რომელიც იცავს ბავშვებს მშობლებისგან. ახლა დაიწყეს ლაპარაკი, რომ მშობლებს უჩნდებათ თავიანთი შვილების მიმართ სექსუალური ლტოლვა.

– დიახ, ოღონდ ეს მხოლოდ საუბრის დონეზე არ ყოფილა, ფაქტი იყო.

– კი, ვთქვათ, იყო ფაქტი და ამიტომ რა უნდა ვქნათ, შემოვიღოთ კანონი ყველასთვის, რომ მშობელმა შვილზე არ იძალადოს?! ეს გაცილებით უარესია. იმიტომ, რომ ეს იდეას აჩენს. იყო ფაქტი და საჭირო იყო ამის ჩაჩქმალვა, იმიტომ, რომ ამ ფაქტზე საუბარი უკვე პროპაგანდა და რეკლამაა. ეს მშვენივრად იციან და იმიტომ იწყებენ საუბარს ამ ფაქტზე.

ნორმალურ საზოგადოებაში ამას არ აქვს ადგილი, იქ, სადაც სწორი სექსუალური აღზრდაა. ეს კანონმდებლობა, რომლის შემოღებასაც აპირებენ, ბრმად არ უნდა მიიღონ და საჭიროა მისი ადაპტირება იმ სოციალურ კულტურული არისადმი, რომელიც არის საქართველოში.

– ერთმა ორგანიზაციამ ფეისბუქში სექსუალური განათლების შესახებ ვიდეოების გამოქვეყნება დაიწყო, რომელიც რეკომენდებული იყო 8 წლიდან ბავშვებისთვის. სწორია მსგავსი ტიპის მეთოდებით ბავშვების აღზრდა?

– ეს ვიდეოგაკვეთილები არ არის მორგებული ჩვენს სოციალურ-კულტურულ არეს. ესაა მთელი საქმე. იმ ფორმით ხდებოდა ამ ინფორმაციის მიწოდება, რომ საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია.

ქალბატონს, რომელმაც ეს გააკეთა, ნამეტანი მოუვიდა და ამას მარტივად დაგიმტკიცებთ. ყველა ასაკში სხვადასხვანაირი მეთოდი არსებობს სექსუალური აღზრდისთვის. არსებობს 6 წლის ბავშვისთვის, 14, 18 წლისთვის და ა.შ. ანუ სხვადახვა ასაკს სხვადასხვა ინფორმაცია სჭირდება, ხოლო როდესაც ის ფეისბუქის მეშვეობით ყველა ასაკს ერთსა და იმავეს უჩვენებს, სწორია?! უკვე არასწორია და ეს არის გამოწვევა ჩვენი სოციალურ-კულტურული არის მიმართ, რა თქმა უნდა, მისი იდეის ავტორიც დასაძრახია.

„ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა, კერძო ბანკებს ჭკუა ასწავლოს“

დემურ გიორხელიძე: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე პასუხობს.

– ბატონო დემურ, თქვენთვისაც ცნობილია, რა პროცესებიც ვითარდება თიბისი ბანკის გარშემო. თავად ბანკის ფუნქციონირებას ხომ არ შეექმნება პრობლემები?

– მე არა მგონია, რომ თიბისი ბანკს რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცალკეული ბანკირებისა და ტოპმენეჯერების მიმართ, მათ შორის საუკეთესო ბანკებთანაც უამრავი პრეტენზია აქვთ სამართალდამცავებს, ის ბანკები კი აგრძელებენ მუშაობას ჩვეულებრივად.

არა მგონია, მამუკა ხაზარაძე ის ადამიანი იყოს, რომელსაც ხელოვნურად რაიმე შეიძლება წამოჰკიდო კისერზე. ამიტომ ერთია მამუკა ხაზარაძის საქმე და მეორეა თიბისი. ამ ბანკს არანაირი საფრთხე არ ემუქრება და არც დგას საკითხი ასე.

– რა პრობლემები იყო?

– მე არა ვარ დეტალურად ჩახედული ამ საქმეში, მაგრამ პრეტენზია შესაძლოა იყოს კონკრეტული პიროვნებისადმი სამართალდამცავი ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ბანკის მიმართ. ბანკშიც რომ იყოს რაიმე დანაშაული მომხდარი, ეს ბანკის დანაშაული არ არის. ეს კონკრეტული პირების დანაშაულია.

– ზოგადად საბანკო სექტორზე რა გავლენას მოახდენს ეს პროცესი?

– ბანკებთან მიმართებით ჩემი შეფასებები ცნობილია. ეს არის ერთ-ერთი უმახინჯესი სისტემა, რომელიც უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში შეიქმნა ხელისუფლებების ხელშეწყობით. ეს არ არის მხოლოდ ბანკებისა და ბანკირების ბრალეულობა, რომ ასეთი მახინჯი და მონოპოლირებული სისტემა გვაქვს, რაც ძალიან უშლის ხელს ეკონომიკის განვითარებას. ბანკებს საფრთხე არ ემუქრებათ, როგორც მუშაობდნენ, ისევ ისე იმუშავებენ.

აქ წარმოქმნილია კონკრეტული წინააღმდეგობა და, არა მგონია, რომ ეს მხოლოდ ბანკის საქმიანობასთან იყოს დაკავშირებული.

– კიდევ რას უკავშირდება, რაიმე პირადია?

– მე არ ვფიქრობ, რომ პირადია. პოლიტიკაში უფრო რთულად არის საქმე, ვიდრე პირადი ინტერესებია. არის რაღაცა იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ ვიცით, ამიტომ, როცა ყველა დეტალი არ ვიცით, მე შემიძლია, ჩემი გამოცდილებით გითხრათ, რომ აქ არის რაღაც დიდი ინტერესების გადაფარვა და არა უბრალოდ ის, რომ ვიღაცას არ მოსწონდეს ვინმე.

– ეს ყველაფერი ანაკლიის პორტსაც უკავშირდება?

– როგორც ჩანს, ყველაფერი ერთად კომპლექსშია ერთმანეთთან. ანაკლიის პორტი კითხვებს იწვევს. ამაში ორი აზრი არ არსებობს. მამუკა ხაზარაძესთან ანაკლიის პორტთან დაკავშირებით საერთოდ კითხვა არ არსებობს. ეს ყველაფერი არის მთავრობის არასწორი გადაწყვეტილება და სწორედ მთავრობასთან უნდა გვქონდეს პრეტენზია.

– რა პრეტენზია?

– ეს იყო ძალიან საინტერესო და კარგი პროექტი და ძალიან კარგ ადამიანს ეკუთვნის ანაკლიის პორტის პროექტი. ეს მსოფლიოში ცნობილი პროექტი იყო, მაგრამ მთავრობამ ეს საკითხი არასწორად გადაწყვიტა.

ბანკის მმართველი, ბანკის მფლობელი, ადამიანი, რომელიც კერძო პირია, თუკი ხელისუფლება მას თამაშის ცივილიზებულ წესებში არ ჩააყენებს, ითამაშებს არაცივილიზებულად. სწორედ ხელისუფლებებმა არ ჩააყენეს ბანკები ცივილიზებული თამაშის წესების ფარგლებში და მივიღეთ ორი მონსტრი ქართულ პირობებში, რაც გამორიცხავს ეკონომიკის განვითარებას.

– ეროვნული ბანკი ჩაერია აქტიურად თიბისი ბანკის საქმეში. რამდენად სწორი იყო ეროვნული ბანკის ქმედება?

– ეროვნული ბანკი თუკი სადმე ჩაერევა ცივილიზებულად და სიტუაციას დაალაგებს, მას სრული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს, მათ შორის ბანკების რეგულირების სფეროში.

ეს წყალწყალა ნეოლიბერალური სისულელეები, რომ ბაზარი თვითონ არეგულირებს ყველაფერს, არის უვიცი ადამიანების პოზიცია და არა – პროფესიონალი ეკონომისტებისა და ფინანსისტების. 20 წელია, დომინირებს ეს სისულელე ქვეყანაში და საშველი აღარ არის.

ეროვნული ბანკი მოქმედებს მისთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებებით და ეს სულაც არ ნიშნავს კონკურენციის შეზღუდვას, ბანკების საქმიანობაში ჩარევასა და ასე შემდეგ.

სწორედ ამ არასწორმა რეგულირებამ ეროვნული ბანკისა, რომელიც უფრო შორიდან, ხელისუფლების ნებიდან მოდიოდა, მიიყვანა სიტუაცია იქამდე, რომ წარმოიქმნა ორი ასეთი მონსტრი, რომელიც დომინირებს დღეს ბაზარზე.

– ანუ ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა, კერძო ბანკებს ჭკუა ასწავლოს? ცოტა გვიანი ხომ არ არის?

– ძალიან კარგი, მივესალმები, თუ გაიღვიძა ეროვნულმა ბანკმა. გვიანი არასდროს არის.

თიბისი ბანკს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეზე ახალი სესხებისა და გარანტიების გაცემა აეკრძალა

ბანკს აეკრძალა ახალი სესხების და გარანტიების გაცემა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეზე, ასევე მათთან დაკავშირებულ პირებზე – ამის შესახებ განცხადება ეროვნულმა ბანკმა გამოაქვეყნა. ეროვნული ბანკი „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით განმარტებას აქვეყნებს.

„რუსთავი 2“ ეროვნული ბანკის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ეროვნული ბანკის საქმიანობა ემსახურება საფინანსო სექტორში ინვესტორთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვას, რაც სექტორის მიმართ ინტერესს და ნდობას ზრდის. ეროვნული ბანკი, როგორც წესი, თავს იკავებს საზედამხედველო ღონისძიებების გასაჯაროებისაგან, თუმცა თიბისი ბანკის დამფუძნებელ აქციონერებთან დაკავშირებით განვითარებული პროცესები ცხადყოფს, რომ ინფორმაციულმა დეფიციტმა სპეკულაციებისა და მცდარი ინფორმაციის გავრცელება განაპირობა. ამით ზიანდება საფინანსო სექტორის რეპუტაცია და ნდობა მის მიმართ. სწორედ ამიტომ, გვსურს მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის 7 აგვისტოს შეტყობინების საფუძველზე, რომელიც ეხებოდა 2012 წელს განხორციელებულ ტრანზაქციებს, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო შემოწმება. შემოწმებისას გამოვლინდა თიბისი ბანკში ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაძლო დარღვევები, რაც მოგვიანებით სებ-ის დამატებითი შესწავლისას დადასტურდა. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ პროცესები სათავეს იღებს 2007-2008 წლებიდან, როდესაც მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით, კომპანიების (შპს „სამგორი M“ და შპს „სამგორი თრეიდი“) გამოყენებით, ბანკიდან ისესხეს ჯამში 16.7 მლნ აშშ დოლარი. 2008 წლის დეკემბერში ეს თანხა ბანკის მიერ ბალანსიდან ჩამოიწერა, რითაც თიბისი ბანკის 2008 წლის მოგება ჯამში 16.7 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. ამასთანავე, ფაქტობრივად, არ განხორციელებულა სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უძრავი ქონების დასაკუთრება.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის აგვისტოში ეროვნული ბანკის მიერ ჩატარდა თემატური შემოწმება თიბისი ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შესწავლის მიზნით. თემატურობიდან გამომდინარე, შემოწმება არ ითვალისწინებდა ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის იდენტიფიცირებას. ვინაიდან ტრანზაქციები განხორციელდა ზემოხსენებული კომპანიების გავლით, ადმინისტრატორების მონაწილეობა პირდაპირ არ იკვეთებოდა. შესაბამისად, ამ შემოწმებისას ვერ მოხდა ხსენებული დარღვევების აღმოჩენა. ასევე, ძალიან მოკლე ვადაში განხორციელდა ამ სესხების ჩამოწერა, რის გამოც, აღნიშნული სესხები ვეღარ მოხვდა ეროვნული ბანკის შემდგომი შემოწმებების არეალში, მათ შორის, ინტერესთა კონფლიქტის კუთხით. თიბისი ბანკის აქციების ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებამდე, ბანკმა გაიარა დეტალური აუდიტი, რომელშიც 2008 წლის სესხების აღმოჩენა, დიდი ალბათობით, ასევე ვერ მოხდებოდა, რადგან, აუდიტის მომენტისათვის, ეს სესხები უკვე დიდი ხნის ჩამოწერილი იყო. შესაბამისად, მცდარია გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს ტრანზაქციები ადრე აღმოჩენილი იყო ან ბანკი უკვე იყო ამ საკითხზე დაჯარიმებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ სებ-ის საზედამხედველო ჩარჩო ხანდაზმულობის ვადით შეზღუდული არ არის.

ბანკის დამფუძნებელი ადმინისტრატორების ბიზნესებთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის მაღალი რისკები მუდმივად იყო ეროვნული ბანკის ყურადღების ცენტრში. 2014 – 2017 წლებში ინტერესთა კონფლიქტის რისკების შემცირების მიზნით, სებ-ი თანმიმდევრულად ცდი-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ოკუპირებულ აფხაზეთში დეპუტატები ნავთობის მოძიების საკითხზე ვერ შეთანხმდნენ

რა ბედი ელის რეგიონის ბუნებრივ სიმდიდრეს?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტში ვერ მიიღეს გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე, რომელმაც უნდა შეისწავლოს აფხაზეთის ტერიტორიაზე ნახშირწყალბადების მოძიება-მოპოვების მიზანშეწონილობა.

საკითხი ამჯერად ჩავარდა, თუმცა წიაღისეულის გამოყენების თემა დღის წესრიგიდან არ ამოდის.

ათვისების მხრივ, მშენებლობისათვის აუცილებელ ინერტულ მასალებს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. „ახალი თაობა“ წერდა, რომ საქართველოს ამ კუთხიდან ეს წიაღისეული საზღვაო ტრანსპორტით რუსეთის მიერ მიტაცებულ ყირიმში გაედინება. აფხაზეთიდან იყო ასევე შეთავაზება ეკოლოგიურად სუფთა სასმელი წყლის მიწოდებაზე, რაც ინვესტიციას საჭიროებს.

ნავთობის საკითხის განხილვა ამ დღეებში ემოციურად წარიმართა. ზოგიერთმა დეპუტატმა ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და ყოფილი პრემიერი ლეონიდ ლაკერბაია რუსეთის ნავთობკომპანიებთან გარიგებასა და კორუფციული სქემების ბენეფიციარობაში დაადანაშაულა. ბრალდების ადრესატებმა ეს განცხადება არასერიოზულად მიიჩნიეს.

როგორც ირკვევა, ნახშირწყალბადების დაზვერვისა და მოძიების მიზნით აფხაზეთში სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. განხილვისას დეპუტატების ნაწილმა მოითხოვა ამ სამუშაოების შეწყვეტა მანამდე, სანამ კომისია თავის გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

კომისია ამ ეტაპზე ვერ შეიქმნა, თუმცა ოკუპირებულ რესპუბლიკაში ნავთობის მოძიების ინტერესი არ ქრება. ამავდროულად, აფხაზეთის საზოგადოების უდიდეს ნაწილს აღელვებს საკურორტო ზონის ეკოლოგიური უსაფრთხოება. მოსახლეობის უმრავლესობა ამის გამო ნავთობის ბიზნესს არ მიესალმება.

ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები აქვს საქართველოს ეკლესიის გარეთ მყოფ არქიმანდრიტ დოროთე დბარს. მან თავისი მოსაზრებები პარლამენტში განხილვამდე ჩამოაყალიბა.

– შავი ზღვის შელფზე ნავთობის მოპოვების წინააღმდეგი ვარ, ვინაიდან ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხე არსებობს. ამასთან, მიმაჩნია, რომ შავი ზღვის აფხაზეთის აკვატორიის ფსკერზე სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება აუცილებელია: უნდა ვიცოდეთ, როგორი მარაგი გვაქვს. აფხაზეთის მატერიკის ნაწილში ნავთობის მოპოვებას მხარს ვუჭერ, ოღონდ, ერთი პირობით – მოპოვებული ნავთობიდან ფული უნდა ჩაირიცხოს არა ვინმეს პირად ანგარიშზე, არამედ, იმ ფონდში, რომელიც ნორვეგიის სახალხო ფონდის მსგავსი იქნება, – აღნიშნავს არქიმანდრიტი, რომელიც სოციალური უთანასწორობის ზრდაზე ადრეც ამახვილებდა ყურადღებას.

ბუნებრივი რესურსები, მისი აზრით, შემდეგი პრიორიტეტულობით უნდა დალაგდეს – წყალი, ტყე, ნავთობი, ინერტული მასალები და ქვანახშირი. 21-ე საუკუნეში წყალს ნავთობზე მეტი ფასი ედება.

არქიმანდრიტი აცხადებს, რომ ნავთობის მოპოვების შემთხვევაში აუცილებელია ფონდის შექმნა, საიდანაც თანხები ხალხის სოციალურ მოთხოვნილებებს, ხელფასებსა და პენსიებს მოხმარდება. იგი წინააღმდეგია, რომ აფხაზეთში მოძიებულმა ნავთობმა გამდიდროს რამდენიმე მაგნატი.

დოროთე დბარი არ ემხრობა იმ ეკონომიკურ მოდელს, რომელიც ფინანსურ სქემებში მოგებას ეფუძნება. ასეთებად ის ასახელებს კრიპტოვალუტის გამომუშავება-გამოყენებასა და ოფშორული ზონების შექმნას, ყველანაირ „პირამიდას“.

მისი დასკვნით, აფხაზეთისთვის პრიორიტეტულად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. შესაქმნელია მცირე გადამამუშავებელი საწარმოები.

ავტორის აზრით, ხელისუფლება მეცნიერებებს დაბრკოლებებს უქმნის. ყველაზე წარმატებული მიმართულება კი ამ ეტაპზე მევენახეობაა.

არქიმანდრიტი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის რეალობაა შრომისუნარიანი მოსახლეობის სიმცირე და განათლების დაბალი დონე.

სამშენებლო ობიექტებზე წესები მკაცრდება



თბილისში ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება და ღია სივრცეებში მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება დასჯადი ხდება. შესაბამისი ადმინისტრაციული სანქციები ასახულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების პროექტში, რომელიც პარლამენტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა მოამზადა.

კანონპროექტის მიხედვით, დედაქალაქის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება (დაჭრა, დაფქვა, დახერხვა, დაქუცმაცება და სხვა.), რომელიც ვერ უზრუნველყოფს მტვერჩახშობას – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 2.000 ლარის ოდენობით.

ამასთან, დასჯადი ხდება თბილისში მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეებში ამტვერებადი მასალის შეფუთვის გარეშე განთავსება. აღნიშნულის დარღვევა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 1.000 ლარის ოდენობით.

კანონპროექტის მიხედვით, სანქციები წესდება ამტვერებადი მასალების დარღვევით ტრანსპორტირების დროსაც. კერძოდ, როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამტვერებადი მასალის გადაუხურავი ან/და არასათანადოდ გადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული მასალიდან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილებას – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, ფიზიკური პირი დაჯარიმდება 500 ლარით, იურიდიული პირი – 1.000 ლარით.

ამასთან, პირს სანქცია დაეკისრება იმ შემთხვევაშიც, თუ ამტვერებადი მასალის დატვირთვა-გადმოტვირთვისას სამშენებლო მოედნიდან ძარაგაურეცხავი ან/და საბურავგაურეცხავი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გამოვა და ქალაქში გადაადგილდება. ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის დაჯარიმდება 200 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში კი ფიზიკური პირის მიმართ ჯარიმა 500 ლარამდე, იურიდიული პირის კი 1000 ლარამდე იზრდება.

კანონპროექტის მიხედვით, 500 ლარით დაჯარიმდება ფიზიკური პირი, თუ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეუფუთავ ან/და არასათანადოდ შეფუთულ ამტვერებად მასალას სამშენებლო მოედანზე ისე განათავსებს, რომ არ იქნება უზრუნველყოფილი აღნიშნული მასალიდან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თვიდან აცილება. იურიდიული პირი კი ასეთ დროს 2000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება. ამ ფაქტის განმეორების შემთხვევაში ჯარიმის მოცულობა ორმაგდება – ფიზიკური პირი 1.000 ლარით, იურიდიული კი 4.000 ლარით დაჯარიმდება.

კანონპროექტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ პირი დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის, დაეკისრება საურავი. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონპროექტი თბილისის საკრებულოს 2019 წლის 1-ელ ივლისამდე ამტვერებადი ნივთის/ნივთიერების განთავსების ან/და რეალიზაციის წესის განსაზღვრას ავალდებულებს.

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მომზადების მიზანი თბილისში ჰაერის დაბინძურების მაღალი მასშტაბები გახდა. „განვითარებული ქვეყნების (ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ ამტვერებადი მასალების გადაზიდვა, განთავსება, დამუშავება და რეალიზაცია საჭიროებს სპეციფიკური რეგულაციების დაწესებას, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მტვერჩახშობა და ამტვერებადი მასალიდან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილება. საკითხის დარეგულირების მიზნით, საჭიროა დადგინდეს გარკვეული სამართალდარღვევები და შესაბამისი სანქციები, შესაბამისად ეს საჭიროებს კანონის მიღებას, – აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

კომერსანტი

მახინჯაურში რომანოვების ისტორიული სასახლე, შესაძლოა, „ქართუ ჯგუფმა“ აღადგინოს

მახინჯაურში რომანოვების ისტორიული სასახლე, რომელიც მკვლევართა აზრით, რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ საკუთარ აღმზრდელს, გრაფინია ფესენკოს აუგო, შესაძლოა, „ქართუ ჯგუფმა“ აღადგინოს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში აგებული უნიკალური სასახლე რამდენიმე წელია დანგრევის პირასაა. სასახლეზე „მოამბემ“ რეპორტაჟი ექვსი წლის წინ მოამზადა, როცა შენობას ძეგლის სტატუსიც არ ჰქონდა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი შენობას 2013 წელს მიანიჭეს.

მას შემდეგ დღემდე სასახლის რეაბილიტაცია დღის წესრიგში არ დამდგარა, რადგან შენობის აღსადგენად ბიუჯეტიდან რამდენიმე მილიონის გამოძებნა იყო საჭირო.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ წელს პირველად გამოაცხადა ტენდერი საპროექტო დოკუმენტაციაზე, რისთვისაც 40 ათასი ლარი გამოყო.

სააგენტოს ხელმძღვანელის, ზაურ ახვლედიანის განცხადებით, ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა მოამზადოს პროექტი, რომელშიც საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, სასახლემ თავდაპირველი იერსახე უნდა დაიბრუნოს, ასევე, კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შენობის რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა.

– ზაფხულამდე გვეცოდინება, რა თანხა იქნება საჭირო სასახლის რეაბილიტაციისთვის. წელს ბიუჯეტში რეაბილიტაციის თანხები გათვალისწინებული არ არის. არ გამოვრიცხავ თანხების გამოყოფის საკითხი დღის წესრიგში წლის ბოლოს, ბიუჯეტის კორექტირებისას დადგეს, თუმცა, შესაძლებელია, პროცესში „ქართუ ჯგუფი“ ჩაერთოს, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ამასთან დაკავშირებით „ქართუ ჯგუფთან“ მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს, – განაცხადა ზაურ ახვლედიანმა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გრაფინია ფესენკოს აგარაკი ბავშვთა სახლს გადაეცა, 90-იან წლებში შენობაში იძულებით გადაადგილებული პირები შეასახლეს. ამჟამად შენობა ცარიელია. ჯერჯერობით უცნობია, რა დანიშნულება ექნება მას რეაბილიტაციის შემდეგ.

საპენსიო ფონდიდან 30 მლნ-ის დანაზოგი ეროვნულ ბანკში გადავიდა და მას 6.75% ერიცხება

საპენსიო ფონდში მობილიზებული 60 მილიონი ლარიდან 30 მლნ სებ-ში განთავსდა, რომელიც მას 6.75%-იან სარგებელს დაარიცხავს.

საქმე იმაშია, რომ ვინაიდან ამ დრომდე საინვესტიციო საბჭო დაკომპლექტებული არაა, შესაბამისად, არ არსებობს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც საბჭომ ფონდში მობილიზებული თანხების ინვესტირებისას უნდა იხელმძღვანელოს. თავად საპენსიო სააგენტოს კი დანაზოგების ინვესტირების უფლება არ აქვს.

სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკის ნებართვის საფუძველზე, ლევან სურგულაძის უწყებამ ფონდში აკუმულირებული თანხის დაახლოებით, ნახევარი, რომელიც ქართულ კომერციულ ბანკებში ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე იყო განთავსებული, ამავე ბანკების სარგებლიან ანგარიშებზე გადაიტანა.

საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, ამ თანხას სარგებლის სახით, 5-6 პროცენტი დაერიცხება. ეს თანხა კერძო სექტორში დასაქმებული მოქალაქეების საპენსიო შენატანებს წარმოადგენს.

რაც შეეხება საჯარო მოხელეთა საპენსიო შენატანებს და ასევე, ყველა დასაქმებულისთვის სახელმწიფოს შენატანს – 2%-ს, ის სახელმწიფოს ხაზინის ანგარიშებზე ირიცხებოდა. აღნიშნულ თანხას ამ დრომდე საპროცენტო სარგებელი არ ერიცხებოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თუმცა როგორც ბმ.გე-ის საპენსიო სააგენტოდან აცნობეს, ისევ ეროვნული ბანკის ნებართვის საფუძველზე, ამ თანხასაც სარგებელი დაერიცხება და ის ფინანსთა სამინისტროს ხაზინიდან ეროვნულ ბანკში გადავა.

საპენსიო სააგენტოში ამ სქემას შემდეგნაირად განმარტავენ:

– ეროვნულ ბანკში გაიხსნა მიმდინარე ნომინალური პროცენტიანი ანგარიში და იქ ერიცხება 6.75% თანხას, ნაწილი თანხის კი, რომელიც კერძო კომპანიებში დასაქმებულთა დანაზოგს წარმოადგენდა, ასევე, მიმდინარე პროცენტიან ნომინალურ ანგარიშებზეა განთავსებული ბანკებში და ერიცხება საპროცენტო სარგებელი, – აცხადებენ სააგენტოში.

საპენსიო სააგენტოს მიერ დასახელებული 6.75%-იანი საპროცენტო სარგებელი, რომელიც მოქალაქეთა მიერ დაზოგილ ფულს ეროვნულ ბანკში ერიცხება ქვეყნის რეფინანსირების განაკვეთის ტოლია.

„საოჯახო სასტუმროებს წყლის ტარიფი, შესაძლოა, 13-ჯერ გაეზარდოთ“

საოჯახო ტიპის სასტუმროებისთვის წყლის კომერციული ტარიფის დაწესება დამღუპველი იქნება იმ უზარმაზარი სეგმენტისთვის, რომელსაც წარმოადგენს საოჯახო ტურიზმი.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ წევრმა აკაკი ბობოხიძემ განაცხადა.

დეპუტატი არ გამორიცხავს, რომ ცვლილებების მიღების შემთხვევაში რეგიონებშიც იგივე მოხდება და შესაძლოა, იგივე შეეხოს ბუნებრივ აირს და ა.შ.

– როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობს ორი ტიპის გადასახადები, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო ტარიფი. კონკრეტულად წყალთან დაკავშირებით, მათ შორის განსხვავება ძალიან მაღალია. საქართველოში არის ძალიან დიდი ქსელი საოჯახო სასტუმროებისა, რომლებშიც დასაქმებული არის ოჯახების ძალიან დიდი ნაწილი და კონკრეტულად თბილისში. სემეკ-ში დაყენებული მოთხოვნა, რომ საოჯახო სასტუმროები განხილული იყოს როგორც კომერციული ობიექტები და მათ დაუწესდეთ წყლის ტარიფი არასაყოფაცხოვრებო წესით, დაკმაყოფილების შემთხვევაში გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს ამ სფეროში, ამ ადამიანებს წყლის ტარიფი გაუძვირდებათ 13-ჯერ, ხოლო თუ ეს პრეცედენტი დაშვებული იქნება თბილისში, არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი ტიპის მოთხოვნები დადგეს სრულიად საქართველოს მასშტაბით. გაუგებარია რანაირად შეიძლება ერთსა დ აიმავე ბინაში, რომელიც ერთდროულად არის საცხოვრებელიც და საოჯახო ტიპის სასტუმროც, განვასხვავოთ ერთმანეთისგან, როდის მოიხმარენ წყალს საკუთარი მოხმარებისთვის და როდის სტუმრები. ეს ცვლილება მიღების შემთხვევაში დამღუპველი აღმოჩნდება საქართველოში იმ უზარმაზარი სეგმენტისთვის, რომელსაც წარმოადგენს საოჯახო ტურიზმი, – განაცხადა ბობოხიძემ.

ბიზნესპრესნიუსი

დასაწყისი მე-5 გვერდზე

თიბისი ბანკს მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეზე ახალი სესხებისა და გარანტიების გაცემა აეკრძალა

ლობდა ბანკში კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას. სხვა საკითხებთან ერთად, ეს საკითხი ხაზგასმული იყო 2018 წლის თებერვლის „რისკების შეფასების საერთო პროგრამის“ (General Risk Assessment Program) წერილში (იხ. დანართი), რომელიც ბანკს უწესებს დამატებითი კაპიტალის მოთხოვნას.

2018 წლის სექტემბრის შემოწმების (რომელიც 2007-2008 წლის ტრანზაქციებს ეხებოდა) შედეგად აღმოჩენილი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიერ ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამო, ეროვნული ბანკი, მისი მანდატისა და კანონმდებლობის ფარგლებში, ვალდებული იყო გადაედგა შესაბამისი ნაბიჯები. კერძოდ, 2018 წლის 19 ნოემბრის ეროვნული ბანკის საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტის სხდომის გადაწყვეტილებით:

ბანკს აეკრძალა ახალი სესხების და გარანტიების გაცემა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეზე, ასევე მათთან დაკავშირებულ პირებზე;

თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს მიეცათ 2 თვის ვადა, რათა წარმოედგინა თავიანთი პოზიცია ბანკის ადმინისტრატორების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევებთან დაკავშირებით;

თიბისი ბანკს დაეკისრა ფულადი ჯარიმა 1,1 მლნ ლარის ოდენობით;

ეროვნული ბანკის მოთხოვნისა და ორთვიანი ვადის მიცემის მიუხედავად, თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარმოდგენილი პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ეროვნული ბანკის მოლოდინი. 2019 წლის 13 თებერვალს, საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტზე განხილვის შედეგად, სებ-მა ბანკის შესაბამის ორგანოს მოსთხოვა: ა) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოდან გაწვევა; ბ) მინორიტარი აქციონერების მიერ შერჩეული ორი ახალი წევრის დამატება.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება არ ეხება აღნიშნული პირების ყოფნას თიბისი ბანკის საბჭოს ზემდგომ ორგანოში TBC BANK GROUP PLC-ში (თიბისი ბანკის 100%-იანი მფლობელი ლონდონში) და ასევე არ ეხება მათ წილებს თიბისი ბანკში. აღნიშნული საზედამხედველო ზომები გააუმჯობესებს ბანკის კორპორაციულ მართვას.

გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ სებ-ის მიერ 2019 წლის 13 თებერვალს გატარებული საზედამხედველო ზომები არ ვრცელდება უშუალოდ თიბისი ბანკზე. აღნიშნული ზომები მიმართულია მხოლოდ ბანკის მმართველობის სტრუქტურის გაუმჯობესებასა და ერთი ან ორი პირის მხრიდან საბჭოზე გავლენის კონცენტრაციის თავიდან აცილებაზე.

თიბისი ბანკი არის სისტემური მნიშვნელობის ბანკი, შესაბამისად, ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია, რომ ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურა და ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა მსხვილი ფინანსური ინსტიტუტის შესაბამისი იყოს. საქართველოს ეროვნული ბანკი, კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ვალდებული იყო, ადეკვატური რეაგირება მოეხდინა სისტემური მნიშვნელობის ბანკში კორპორაციული მმართველობის პრობლემებსა და საზედამხედველო ნორმების უხეშ დარღვევებზე. გვინდა შეგახსენოთ, რომ სწორედ სებ-ის პრინციპული ზედამხედველობის შედეგად, საქართველოს საბანკო სისტემა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გახდა რეგიონში. უკომპრომისო საბანკო ზედამხედველობის შედეგია, რომ საქართველოდან ორი მსხვილი ბანკის აქციები საერთაშორისო ბაზარზეა განთავსებული და საერთაშორისო ინვესტორების მაღალი ნდობით სარგებლობს. ზედამხედველობის პრინციპების ნებისმიერი შესუსტება ან ეროვნული ბანკის მიზანმიმართული დისკრედიტაცია, დააზიანებს იმ სარგებელს, რაც საფინანსო სექტორმა და მთლიანად ქვეყანამ მიიღო საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციონირებით, რასაც ეროვნული ბანკი, ბუნებრივია, არ დაუშვებს.

ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი ინსტიტუტია. რეგულატორის მოვალეობაა მიიღოს საჭირო, ზოგჯერ – რთული და არაპოპულარული ზომები სისტემაში რისკების შესამცირებლად. მიუხედავად სხვადასხვა გავლენის ჯგუფების ინტერესებისა, სებ-ი, მისი ფინანსური სტაბილურობის მანდატით, მომავალშიც, სრულად და დარღვევის პროპორციულად, განახორციელებს ყველა იმ საზედამხედველო ღონისძიებას, რაც აუცილებელია ჯანსაღი საფინანსო სისტემის ფუნქციონირებისათვის.

„პატიმარზე ცოცხით სექსუალური ძალადობა ბედუკაძის დადგმული სცენაა“

რას ყვება პატიმარი

პატიმარი, რომლის კადრმა ცოცხით „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოიყვანა, კურიერთან კავშირზე გლდანის ციხიდან გავიდა.

პატიმარი, რომლის გვარსაც, მისივე თხოვნით, ტელეკომპანია არ ახმაურებს, პირველად ყვება, რა ვითარებაში გადაიღო ვლადიმერ ბედუკაძემ ციხეში ვიდეო ცოცხით.

კადრები, რომლებიც, ბედუკაძის მტკიცებით, პატიმარზე სექსუალურ ძალადობას ასახავდა, მსჯავრდებულის მტკიცებით, სინამდვილეში გლდანის ციხის ჯალათის ფანტაზიით დადგმული სიმულაცია აღმოჩნდა.

კურიერთან ინტერვიუში პატიმარი დეტალურად იხსენებს იმ დღეს, როდესაც ციხის ერთ-ერთ საკანში მასთან მორიგე-ინსპექტორი ლადო ბედუკაძე შევიდა და საკნიდან ძალის გამოყენებით გაიყვანა.

თავდაპირველად მისი ცემა, პატიმრის მტკიცებით, ბედუკაძის მითითებით, ადმინისტრაციის ორმა თანამშრომელმა დაიწყო. დაკავებულის მიმართ არაადამიანური მოპყრობის დავალებებს ბედუკაძე გასცემდა, პარალელურად კი ამ ყველაფერს ვიდეოკამერით იღებდა.

უკვე ნაცემ პატიმარს კი, რომელიც ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იყო, ბედუკაძე კამერის წინ სხვადასხვა სცენის დადგმაში მარტივად ითანხმებდა.

პატიმარი უკვე 7 წელია, მასზე განხორციელებული ძალადობის საქმეზე ლადო ბედუკაძეს უჩივის.

ჩვენება გლდანის ციხის მორიგე ინსპექტორის წინააღმდეგ მან სასამართლოზეც მისცა, განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურატურასაც, თუმცა, უშედეგოდ. პატიმარი დარწმუნებულია, რომ გლდანის ციხის ჯალათს მთავარი საგამოძიებო უწყება „ქართული ოცნების“ დავალებით მფარველობს.

ლადო ბედუკაძის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი თავისუფლების მოედანია. სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის ეზოში მდებარე კორპუსში ბედუკაძე 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, თუმცა, ადგილზე მისულ კურიერის ჯგუფს კომპანია ინჟინერმშენის დირექტორი დახვდა.

ნიკოლოზ შარაბიძე ყვება, რომ ლადო ბედუკაძე 2010 წელს გლდანის ციხეში გაიცნო და დამეგობრდნენ. მოგვიანებით კი გლდანის ციხის ჯალათს საოფისე ფართი შარაბიძემ დაუთმო, თუმცა, რა საქმიანობას ეწევა ის, შარაბიძისთვის უცნობია.

რამდენიმე მცდელობის შემდეგ ბედუკაძემ კურიერის სატელეფონო ზარებს უპასუხა. კითხვაზე, რატომ გაასაღა სექსუალურ ძალადობად მისივე ფანტაზიით დადგმული კადრი ცოცხით, ბედუკაძემ უპასუხოდ დატოვა და მხოლოდ ის თქვა, რომ ის „ზევსია“.

ლადო ბედუკაძე, კურიერის ინფორმაციით, პროკურატურის კონსპირაციულ ბინაში ცხოვრობს.

ბინის რემონტის გამო დაწყებული ჩხუბი ზვიად ჯაფარიძის მკვლელობით დასრულდა

ტრაგედიის ახალი დეტალები

ვერცხლის ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი ანგარიშსწორების მიზეზი ყოფით ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტია.

ზვიად ჯაფარიძე მეზობლებს შორის სარემონტო სამუშაოებისას დაწყებული დაპირისპირების გამო ჩაცხრილეს, თუმცა თავად ჯაფარიძე კონფლიქტის უშუალო მონაწილე არ ყოფილა.

ვერცხლის ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი დაპირისპირების საქმის მასალები ადვოკატებს უკვე ჩაბარდათ. კონფლიქტი მეზობლებს, ბესო ბიძინაშვილსა და ზაზა სიხარულიძეს, შორის დიუმას 29-ში, სიხარულიძის სახლში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო დაიწყო.

გამოძიების ერთ-ერთი მოწმე სამუშაოებზე დასაქმებული პირია, რომლის მონათხრობით, რემონტით გამოწვეული ხმაური კედლის იქით მცხოვრებ ბიძინაშვილებს აწუხებდათ.

სიტუაცია იანვრის ბოლოს გამწვავდა, როცა ბიძინაშვილმა სიხარულიძის მუშას სცემა.

სავარაუდოდ, სწორედ მუშების ცემა გახდა მეზობლების უთანხმოების მიზეზი, რომლის მოგვარებაც ზვიად ჯაფარიძეს სურდა.

ჯაფარიძეს დახმარება მეგობარმა ზაზა სიხარულიძემ სთხოვა, რადგან მას ბიძინაშვილებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. საუბარი მხარეებს შორის, რომელსაც ზაზა სიხარულიძის, ზვიად ჯაფარიძის და ძმები ბიძინაშვილების გარდა, მათი თანმხლები პირებიც ესწრებოდნენ, სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

გამოძიების ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ზაზა სიხარულიძის ძმისშვილმა, ლაშამ, ბესო ბიძინაშვილი დაჭრა, ამ უკანასკნელის ძმამ კი იარაღიდან რამდენიმე საპასუხო გასროლისას ზვიად ჯაფარიძე მოკლა.

ალექსანდრე ბიძინაშვილს პოლიცია ამ დრომდე ეძებს, ზაზა და ლაშა სიხარულიძეებს და მათ მეგობრებს კი ბრალი უკვე წარუდგინეს. უმეტესობას დანაშაულის შეუტყობინებლობასა და დაფარვას ედავებიან.

ლაშა სიხარულიძეს გამოძიება ბესო ბიძინაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებაში ადანაშაულებს.

ხუთივე დაკავებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილმა ბრალდების მხარის მოთხოვნა დააკმაყოფილა. მოსამართლის თქმით, მათ აქვთ გარკვეული მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისკენ, ვინაიდან 5-დან 4 დაკავებული წარსულში ნასამართლევია.

აღნიშნულ საქმეზე მომდევნო სასამართლო სხდომა 18 აპრილს, 11:00 საათზე ჩაინიშნა.

დავით გულიაშვილი: „ფარცხალაძის ახლობელმა იარაღი სახეში რამდენიმეჯერ ჩამარტყა“

23 თებერვალს თბილისის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, ქაშუეთის ეკლესიასთან, სისხლიანი დაპირისპირება მოხდა.

39 წლის დავით გულიაშვილი ოთარ ფარცხალაძის გარემოცვის წევრებს ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს.

კურიერის ჟურნალისტი დაზარალებულს საავადმყოფოში ესაუბრა.

მისი თქმით, როდესაც ახლობლის გასვენებიდან ბრუნდებოდა, თავს დაესხნენ ზონდერები.

გულიაშვილის განცხადებით, თავდამსხმელი დავით მიქაძე ყოფილი მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის, ახლო გარემოცვის წევრია.

დაზარალებული კურიერს უყვება, რომ თავდასხმას კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები შეესწრნენ, თუმცა, მომხდარზე მათ რეაგირება არ მოუხდენიათ.

მისი განცხადებით, ძმები მიქაძეები პოლიციის დავალებებს ასრულებენ.

– მანუჩარ მამსიაშვილმა, როგორც გამოვედი ციხიდან, მითხრა, 20 დღეში დატოვებ ქვეყანასო. არ დატოვებ და მიქაძეებს მოგგზავნი და ნახავ, რასაც გიზამენო. რატომ უნდა დამეტოვებინა?

ზონდერი ძმები მიქაძეები არიან, პოლიციის დავალებას ასრულებენ. მოვარდნენ, მცემეს იარაღებით. ფარცხალაძესთან ერთად რომ იყო, პოლიციის დავალებებს ასრულებენ. პოლიცია იქ იყო, უყურებდა, არავინ არ ჩარეულა, – განაცხადა დავით გულიაშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საქმესთან დაკავშირებით მოკვლევა დაიწყო. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისა და ძალადობის მუხლებით მიმდინარეობს.

სამხარაულის ექსპერტმა სეიფიდან ათიათასობით ლარის ოქრო და ბრილიანტი მოიპარა

მთავარმა პროკურატურამ სამხარაულის ექსპერტიზის თანამშრომელი დიდი რაოდენობით ოქროს ნივთების ქურდობისთვის დააკავა.

ბრალდებული წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

მთავარი პროკურატურა ფაქტს ადასტურებს, თუმცა დამატებით დეტალებზე არ საუბრობს.

„მითვისება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დიდი ოდენობით, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით“ – აცხადებენ უწყებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებულმა დაცული სეიფიდან ათიათასობით ლარის ოქრო და ბრილიანტი გაიტანა.

ჩხოროწყუში 2 მანქანა ერთმანეთს დაეჯახა

დაიღუპა 35 წლის მამაკაცი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეგახარეში ავტოსაგზაო შემთხვევას 35 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა.

ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა, შეჯახების შედეგად, ავტომანქანაში მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი ადგილზე დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ირინა ონაშვილის გაქურდვისთვის თბილისში ნ.მ. დააკავეს

შსს-ს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით ორი პირი – 1980 წელს დაბადებული ნ.მ. და 1988 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი ა.ჩ. დააკავეს.

დაკავებული ნ.მ. ირინა ონაშვილის სახლში დამხმარედ მუშაობდა. საუბარია, დაახლოებით, 10.000 ლარის ღირებულების სამკაულების ქურდობაზე.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ნ.მ.-მ თბილისში, ფანჯიკიძის ქუჩაზე, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელი ბინიდან, სადაც დამლაგებლად მუშაობდა, ოქროს ძვირფასი სამკაულები და საათები მოიპარა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ იგი მომხდარიდან მალევე დაიკავა, ნაქურდალი ნივთები კი ნივთმტკიცებად ამოიღო,“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

რაც შეეხება ა.ჩ.-ს, ის სამართალდამცველებმა თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, მდებარე ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელი ბინის გაქურდვის ბრალდებით დააკავეს.

მის მიერ მოპარული ნივთები, ასევე, ამოღებულია ნივთმტკიცებად. გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ჩ.-მ ჭავჭავაძის გამზირზე კიდევ ერთი მოქალაქის ბინა გაქურდა.

გამოძიება ქურდობის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ძალადობა სიდედრზე, მეგობარ გოგონაზე, თვითმკვლელობის მცდელობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული კ.ტ. და 1966 წელს დაბადებული პ.გ. ოჯახში ძალადობის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა კ.ტ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ მან მიმდინარე წლის 18 თებერვალს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეგობარ გოგონას – 1982 წელს დაბადებულ ნ.ჩ.-ს, რომელმაც შემდეგ თვითმკვლელობა ცადა. ნ. ჩ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა. მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება.

პოლიციამ ბათუმში მეუღლის დედის – 1944 წელს დაბადებული ლ.ბ.-ს ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დააკავა 1966 წელს დაბადებული პ.გ. დაშავებულს სამედიცინო დახმარება კლინიკაში გაეწია.

გარდა ამისა, სამართალდამცველებმა ოჯახში ძალადობის ბრალდებით კიდევ ოთხი პირი: 1974 წელს დაბადებული ბ.ჭ., 1985 წელს დაბადებული კ.ძ., 1997 წელს დაბადებული მ.გ. და 1981 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ბ. დააკავეს.

გამოძიება ოჯახური ძალადობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტებზე საქართველოს სსკ-ს 126-ე პრიმა და 115-ე მუხლებით მიმდინარეობს.

მაღაზიის ძარცვა გურიაში

შსს-მ 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებულია 2000 წელს დაბადებული შ.ს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 9 იანვარს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში მდებარე მაღაზიის კედელი დააზიანა, უკანონოდ შეაღწია შენობაში, 2.100 ლარი, სხვადასხვა დასახელების სიგარეტი, ძვირადღირებული ალკოჰოლური სასმელები მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, შ.ს., მომხდარიდან მეორე დღესვე ამხილეს, მოგვიანებით კი, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. პოლიციამ ნაქურდალი ნივთების და მოპარული ფულის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღო. ასევე, ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – ძალაყინი.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სადგომში ან საცავში უკანონოდ არაერთგზის შეღწევის გზით ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ზემო ალვანში 71 წლის მამაკაცი დენის გამათბობელზე დაეცა და დაიწვა

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში უბედური შემთხვევა მოხდა.

71 წლის მამაკაცი სახლთან მდებარე ჯიხურში დენის გამათბობელზე დაეცა და ცეცხლი წაეკიდა.

სხეულზე მიყენებული დამწვრობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

შემთხვევის ადგილზე სახანძრო-სამაშველო ბრიგადა და პოლიცია იყვნენ მობილიზებული.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანება ან განადგურებას, ჩადენილს ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

კიმ ჩენ ინი ტრამპთან შესახვედრად გაემართა

ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპთან შესახვედრად ჯავშნიანი მატარებლით გაემგზავრა.

შეხვედრა ვიეტნამის დედაქალაქში შედგება.

კიმ ჩენ ინი ვიეტნამში ჩინეთის გავლით ჩავა.

ლუკაშენკო ნატოს წინააღმდეგ

ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ნატოს გააქტიურების გამო შეშფოთება გამოთქვა. მან რუსებისადმი ერთგულება კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

– თუ ამერიკელები ევროპაში ახალ რაკეტებს განათავსებენ, რუსეთთან ერთად საპასუხო ზომებს მივიღებთ, – ამბობს ლუკაშენკო.

ბელორუსის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ თავისი გეოპოლიტიკური არჩევანი კარგა ხანია გააკეთა.

– ჩვენ რუსეთის მოკავშირენი ვართ! თუ ნატო რუსეთს ექიშპება, ნატოს წინააღმდეგნი ვიქნებით! – თქვა ლუკაშენკომ.

ეუთო ნემცოვის მკვლელობაზე მოხსენებას ამზადებს

შედგა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა. მისმა თავმჯდომარე გიგი წერეთელმა განაცხადა, რომ ასამბლეის ვიცეთავ-

მჯდომარე მარგარეტ სადერფელდს ბორის ნემცოვის მკვლელობის საკითხზე სპეციალური მოხსენების მომზადება დაევალა.

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნემცოვი 2015 წელს მოკლეს.

პოლიტიკოსის ქალიშვილმა ჟანა ნემცოვამ, რომელიც ახლა „დოიჩე ველეზე“ მუშაობს, ეუთო-ს გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა. ქალბატონი ნემცოვა იმედოვნებს, რომ ეს მორიგი ნაბიჯია საიმისოდ, რათა მამამისის მკვლელობის შემკვეთნი დაისაჯონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

აშშ-ის არმია, შესაძლოა, სირიაში დარჩეს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სირიის მიმართ კურსს არ შეცვლის. ამავე დროს, მან თქვა, რომ ამერიკული ჯარი სირიაში დარჩება.

– ჯერ არ ვიცი, სირიიდან ჩვენი ჯარი როდის გამოვა, არც ის, რამდენი ჯარისკაცი დარჩება ამ ქვეყანაში, – თქვა ტრამპმა.

აღნიშნული განცხადება პრეზიდენტმა მას შემდეგ გააკეთა, რაც ევროპის ქვეყნებმა თქვეს, რომ ამერიკელების გასვლის შემთხვევაში სირიას ისინიც დატოვებენ, ტრამპის ოპონენტებმა შტატებში კი პრეზიდენტის მიმართ მორიგი ბრალდებები წამოაყენეს:

– ტრამპი სირიას რუსებსა და ირანელებს უთმობს!

ამას გარდა, სპეცპროკურორმა მიულერმა განაცხადა, რომ მომავალ კვირაში არჩევნებში რუსების ჩარევის შესახებ ინფორმაციას გაასაჯაროებს.

ტრამპმაც თავის გადაწყვეტილებებში კორექტივები შეიტანა.

რუსებმა იტალიელი მინისტრი მოისყიდეს?!

ჟურნალ ექსპრესოს ცნობით, რუსებმა იტალიის ვიცეპრემიერი სალვინი მოისყიდეს.

სალვინი ითხოვდა, რომ მოსკოვს მისი პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“ დაეფინანსებინა. საუბარი იყო ამ ორგანიზაციისთვის მილიონი ევროს გადარიცხვაზე.

– სალვინი ამ საკითხზე მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებდა, – წერს ჟურნალი.

სალვინი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მოხსნის, აგრეთვე აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებისა და ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის აღიარების მომხრეა.

– ასეთია რეალობა! თუ მას არ ვაღიარებთ, ომი დაიწყება, – ამბობს სალვინი.

თურქეთში სამხედროებს აპატიმრებენ

თურქეთის პროკურატურამ 295 სამხედროს დაკავებაზე ორდერი გასცა.

მათ აშშ-ში მცხოვრებ თურქ მქადაგებელ გიულენთან კავშირში ადანაშაულებენ.

დაკავებულთა შორის პოლკოვნიკები, პოდპოლკოვნიკები და მაიორები არიან.

ვენესუელამ კოლუმბიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა

პრეზიდენტ მადუროს ბრძანებით, ვენესუელის არმიამ კოლუმბიასთან საზღვარი გადაკეტა. ამან ვითარება დაძაბა. საზღვართან მოიყარა თავი ხალხმა, რომელიც აშშ-ის მიერ გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების გატარებას მოითხოვდა.

არმიასა და ხალხს შორის მოხდა შეტაკება.

ჯარისკაცებმა ხალხის წინააღმდეგ გაზი გამოიყენეს. დაიღუპა 2 მანიფესტანტი.

მადურომ კოლუმბიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

დათუნაშვილი საქართველოს დატოვებს, პრეზიდენტი არ გადადგება

ჭიდაობის ფედერაციაში პრეზიდიუმის სხდომა ჩატარდა, სადაც 11 იანვარს ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობის ჩემპიონატზე მომხდარი ინციდენტი კიდევ ერთხელ განიხილეს.

3-საათიანი სხდომა, როგორც ხდება, ისე დასრულდა -გეგა გეგეშიძემ ბოდიში მოიხადა, მაგრამ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე დარჩება.

სამაგიეროდ, სანქციებს „გადაურჩა“ დათუნაშვილი, რომელიც პრეზიდიუმის წევრებმა „დაინდეს“. არადა, იმ ფაქტისთვის „დაინდეს“, რომლისთვისაც უკვე დაისაჯა.

ყრილობის დასრულების შემდეგ, გეგა გეგეშიძემ, ფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ედიშერ მაჩაიძემ, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და თავად ზურაბ დათუნაშვილმა მედიასთან კომენტარები გააკეთეს.

გეგა გეგეშიძე:

– თუ რამე გავაკეთეთ, ეს მოჭიდავეების საქმეა. იმაზე შევჯერდით, რომ მოჭიდავეებმა შიგნით არსებული საკითხები განიხილონ. არ შეუშალონ ხელი პროცესებს. წავიდეს დათუნაშვილი შეკრებაზე, ივარჯიშოს,გამოვიდეს შეჯიბრზე და დაამტკიცოს თავისი პირველობა. დათუნაშვილთან მომხდარ ამბავს, როგორც ხელმღვანელი, მე გვერდზე ვდებ.

ედიშერ მაჩაიძე:

– მიუხედავად არეულობისა, ზურას შანსი მივეცით. შეჯიბრის ჩაშლა მოჭიდავეებისგან დაიწყო, ამ ყველაფერზე სანქცია არსებობს, მაგრამ ამ სანქციაზე უარი ვთქვით და საკითხი სადისციპლინო კომიტეტსაც არ გადავეცით. დათუნაშვილს შევთავაზეთ, რომ შეკრებაზე ჩაერთოს და თავისი ძალა უახლოეს საერთაშორისო ტურნირებზე დაამტკიცოს. გეგამ დათუნაშვილს თვალებში ჩახედა და საქციელი მოინანია. მან ზურას უთხრა, რომ ალბათ, პრეზიდენტი რომ ვარ, მეტი მოთმინება უნდა გამომეჩინაო. ბოდიში მოუხადა მასაც და თუ ეს საჭიროა, ბოდიშს ვუხდი ყველასო.

ყრილობამდე ფედერაციასთან ზურაბ დათუნაშვილის მხარდამჭერი აქცია დაიწყო და პარალელურად მიმდინარეობდა. აქციაზე გამოჩნდა ევროპული საქართველოს წევრი, დეპუტატი ელენე ხოშტარია, რომელმაც სოლიდარობა დათუნაშვილს გამოუცხადა.

სხდომის დასრულების შემდეგ, დათუნაშვილმა მედიასთან ისაუბრა და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ გეგეშიძესთან შერიგებას არ აპირებს.

ზურაბ დათუნაშვილი:

– კიდევ ერთხელ მითხრეს, შევ-



რიგდეთ, ყველაფერი კარგად იქნება, ერთი ოჯახი ვართო. მე ამ ადამიანს ვერ შევურიგდები, ჩემი კარიერის გადასარჩენად სხვაგან უნდა წავიდე. ვუთხარი თუ გამიშვებთ წავალ. თუ დამბლოკავთ, დამბლოკეთ. წასვლის თემაზე მითხრეს, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ჩვენ ვერ მივიღებთო. გაშვების საკითხი პარლამენტთან და სპორტის სამინისტროსთან ერთად უნდა განიხილონ.

დათუნაშვილმა სხვა ქვეყნის სახელით ჭიდაობის სურვილი რომ გამოთქვა, ეს ლერი ხაბელოვმაც დაადასტურა:

– ზურაბ დათუნაშვილი ჩვენი ლიცენზიანტი სპორტსმენია და იღებს ჩვენს სტიპენდიას. გვინდა, რომ მოიპოვოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია. იგივე მოსაზრება ჰქონდა პრეზიდიუმს, მაგრამ ამ შეთავაზებაზე მან უარი თქვა და განაცხადა, რომ სხვა ქვეყნის სახელით უნდა გამოსვლა. ამაზე ვიმსჯელებთ და შემდეგ მოგახსენებთ. ამ წონით კატეგორიაში ჩვენ გვყავს ევროპისა და მსოფლიოს ორგზის პრიზიორი რობერტ კობლიაშვილი და გამოვა, რომ ზურა დათუნაშვილი ჩვენი მოწინააღმდეგე იქნება, რასაც მე მხარს ვერ დავუჭერ. გეგა გეგეშიძემ ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ უნდა მომეთმინაო. რაც შეეხება გადადგომას, ეს საკითხი საქალაქო სასამართლოშია და ამიტომ ამაზე არ გვიმსჯელია.

იოშუა კიმიხი: „უფრო მოქნილები უნდა ვიყოთ“

გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის მცველ იოშუა კიმიხს უკვე ადარებენ ლეგენდარულ ფილიპ ლამს. თუმცა, თავად ფეხბურთელი ამ საკითხზე ჯერ მოკრძალებულად საუბრობს.

იოშუა კიმიხი:

– შედარება ჯერ მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ერთ პოზიციაზე ვთამაშობთ, მაგრამ ის გაცილებით უკეთესია თავისი ემოციების კონტროლში. ასეთი რამ ხდება ჩემს თავს თამაშის დროს, როდესაც ცუდ პასს ვაკეთებ ან შანსს ვერ ვიყენებ. ის ჩემთვის მისაბაძი მაგალითია, იმის მიუხედავადაც კი, რომ მე ჩემი გზით მსურს წავიდე. საუბარია გერმანული ფეხბურთის ლეგენდაზე. მე არ შემიძლია ის შევცვალო ასე სწრაფად. ვიმედოვნებ, რომ ისეთივე ცოტა შეცდომებს დავუშვებ, როგორც ის.

ფილიპი მაგალითი იყო თანმიმდევრობისა და დალაგებულობის. კაპიტნობა ჩემთვის აკვიატებულ იდეას არ წარმოადგენს, მაგრამ ახლა მე შემიძლია განკარგულებები მივცე ისეთ ლეგენდებს და კლუბის თილისმებს, როგორიც რობენი და ბოატენგია, ვარჯიშებზე ან თამაშებში. კაპიტანი ერთ ღამეში ვერ გახდები. შენ უნდა დაიმსახურო ეს კარგი და მუდმივი გამოსვლებით.

– ბაიერნში პეპ გვარდიოლას დროს აღმოჩნდი.

– პეპთან თითოეული ვარჯიშით ვტკბებოდი. ის ნამდვილი პერფექციონისტია, რომელსაც ნებისმიერი დეტალი აღელვებს. სწორედ მისი დახმარებით შევიძინე მრავალმხრივობა. ბევრი რამ ვისწავლე მისი ხელმძღვანელობით და ისეთი რამეების შესახებ შევიტყვე, რომელთა არსებობაზე ადრე არც კი მიფიქრია.

როდესაც ლაიფციგში მითხრეს, რომ ბაიერნი ჩემით იყო დაინტერესებული, გავიფიქრე, რომ მეხუმრებოდნენ. შემდეგ მე პეპს ვესაუბრე, მან მაცნობა, რომ ჩემი თამაში შეისწავლა თავიდან ბოლომდე და რომ მას დიდი გეგმები აქვს ჩემთან დაკავშირებით და რომ მე უბრალო ფეხბურთელი არ ვიქნები გუნდში.

– ვინ მოახდინა შენზე დიდი შთაბეჭდილება ვარჯიშებზე?

– ხაბი ალონსო! ის მართლაც განსაკუთრებული იყო. მისი გრძელი და ზუსტი გადაცემები უბრალოდ შოკში მაგდებდა. მისი თამაშის წაკითხვა მართლაც რომ დიდებულია. ამაყი ვარ იმით, რომ მასთან ერთად ერთ გუნდში ვთამაშობდი. ის საუკეთესო ფეხბურთელია, ვისთან ერთადაც მე ოდესმე მითამაშია.

– შენი კერპი საფეხბურთო მოედანზე.

– ჩემი კერპი ყოველთვის იყო ხავი. არასდროს მინახავს, რომ მას ტექნიკური შეცდომა დაეშვას, ის ყოველთვის ბოსი იყო მოედანზე. დღესაც კი მე კვლავ ვუყურებ მის ვიდეოებს იუთუბიზე. ვისურვებდი, მასთან და ინიესტასთან ერთად მეთამაშა ერთ გუნდში.

– ბაიერნის მომავლად შენ და კინგსლი კომანი ითვლებით.

– კინგსლი ნიჭიერი ფეხბურთელია უზარმაზარი პოტენციალით. ის შესანიშნავი დრიბლიორია, რომელსაც სისწრაფე გააჩნია. მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. საბედნიეროდ, ის ჩემი თანაკლუბელია, ასე რომ, მე არ მიწევს ამის გაკეთება. მას ძალიან არ უმართლებს ტრავმებში.

– 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი სადებიუტო იყო შენთვის. რას გვეტყოდი პირველ მუნდიალსა და გერმანიის ნაკრების შედეგზე?

– გვსურდა მოწინააღმდეგეზე დომინირება, მაგრამ შედეგად ბალანსი დავკარგეთ. უფრო მოქნილები უნდა ვიყოთ თანამედროვე თამაშში, რათა მაღალ დონეზე დავბრუნდეთ.

ჩაკვეტაძით სერია ა-ს სამი გუნდი ინტერესდება

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ფეხბურთელ გიორგი ჩაკვეტაძეს ტრავმა აქვს და ბოლო დროს მოედანზე არ გამოჩენილა, მის სატრანსფერო საკითხზე საუბარი არ წყდება.

ჩაკვეტაძის სერია ა-ში შესაძლო გადასვლაზე აქტიურად იწერება. ბოლო დღეებია ვრცელდება ინფორმაცია, რომ გენტის 19 წლის ქართველ ნახევარმცველის გადაბირებით ერთბაშად 3 იტალიური კლუბია დაინტერესებული – რომა, ლაციო და სამპდორია.

ბელგიელები წერენ, რომ ჩაკვეტაძის ტრანსფერი გენტის ისტორიაში ყველაზე ძვირფასი გახდება.

– როგორც ჩანს, გენტი თავის ისტორიაში უძვირფასეს ტრანსფერს განახორციელებს. როგორც ნებისმიერი ბელგიური ტოპკლუბი, გენტიც ზაფხულში შეეცდება ბიუჯეტის შევსებას. ამ ზაფხულს კი კლუბს საკმაოდ სარფიანი გარიგების შესაძლებლობა ექნება, რადგან ლაციო, რომა და სამპდორია გიორგი ჩაკვეტაძით ინტერესდებიან. ქართველი უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. ამ სეზონში ჩატარებულ 28 მატჩში მან 5 გოლი და 8 საგოლე პასი მიითვალა. შემტევი ნახევარმცველით განსაკუთრებით გენუელები არიან დაინტერესებული და სამპდორიას მის სანაცვლოდ 10-დან 15 მილიონ ევრომდე თანხის გადახდა მოუწევს. ასეთ შემთხვევაში, ჩაკვეტაძის ტრანსფერი ყველაზე ძვირფასი იქნება მათ შორის, რაც კი გენტს ოდესმე განუხორციელებია.

ქართველი ფეხბურთელით, იტალიური კლუბების გარდა, ესპანეთში რეალი და ბარსელონა (კატალონიელთა სკაუტები საქართველოს ნაკრების ანდორასთან მატჩსაც დაესწრნენ), ინგლისიდან – მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი და ბორნმუთი, გერმანიიდან – ბაიერნი და დორტმუნდი, საფრანგეთიდან – პსჟ და ასევე უკრაინული დონეცკის შახტარი ინტერესდებიან.

ავტორიტეტული პორტალი ტრანსფერმარკეტი ახალგაზრდა ქართველის სავარაუდო სატრანსფერო ფასად 9 მილიონ ევროს ასახელებს.

სანდრო ბაზაძის ეგვიპტური ბრინჯაო

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში ხმლით მოფარიკავეთა გრან პრიზე სანდრო ბაზაძემ ისტორიულ შედეგს მიაღწია და პირველად ქართული ფარიკაობის ისტორიაში გრან პრიზე მედალი ავიღეთ.

ბაზაძემ პირველ წრეში 2017 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, უნგრელ ანდრას სზატმარს აჯობა – 15:8. მერვედფინალში კი, ჩვენი ნაკრების ლიდერმა სამხრეთ კორეელ კიეჰვან კიმს მოუგო – 15:13. დღის უმთავრესი გამარჯვება ბაზაძემ მეოთხედფინალში მოიპოვა, როცა ამერიკელი რეიტინგის ლიდერი ელი დერშვიცი 15:12 დაამარცხა.

სანდრო მხოლოდ ნახევარფინალში დამარცხდა არონ სზილაგისთან და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ეს უნგრელი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

ჩვენებურს ბრინჯაოსთვის ბილიკზე გასვლა აღარ დასჭირვებია.

ფლეი ოფის ეტაპზე 2 ქართველი ასპარეზობდა, მიხეილ მარდალეიშვილი საუკეთესო 32-ში კი მოხვდა, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა კორეელ სანგუკ ოჰთან – 5:15.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჰიმეიჩიგა

ბარნლი-ტოტენჰემი 2:1
ბორნმუთი-ვულვზი 1:1
ნიუკასლი-ჰადერსფილდი 2:0
ლესტერი-კრ.პალასი 1:4

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	27	21	2	4	74-20	65
2.ლივერპული	26	20	5	1	59-15	65
3.ტოტენჰემი	27	20	0	7	55-27	60
4.მანჩესტერი	26	15	6	5	52-35	51
5.არსენალი	26	15	5	6	53-37	50
6.ჩელსი	26	15	5	6	45-29	50
7.უოტფორდი	27	11	7	9	39-35	40
8.ვულვზი	27	11	7	9	35-34	40
9.ვესტ ჰემი	27	10	6	11	35-40	36
10.ბორნმუთი	27	10	4	13	38-48	34
11.ევერტონი	27	9	6	12	36-39	33
12.ლესტერი	27	9	5	13	32-38	32
13.კრ.პალასი	27	8	6	13	31-35	30
14.ბარნლი	27	8	6	13	31-48	30
15.ნიუკასლი	27	7	7	13	24-34	28
16.ბრაიტონი	26	7	6	13	28-39	27
17.კარდიფი	27	7	4	16	25-52	25
18.საუთჰემპტონი	26	5	9	12	28-44	24
19.ფულემი	27	4	5	18	26-61	17
20.ჰადერსფილდი	27	2	5	20	14-50	11

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბირმინგემი-ბლექბერნი 2:2
ბრენტფორდი-ჰალი 5:1
ლიდსი-ბოლტონი 2:1
მიდლსბრო-ქარ 2:0
მილუოლი-პრესტონი 1:3
ნორვიჩი-ბრისტოლი 3:2
რედინგი-როტერჰემი 1:1
სტოკი-ასტონ ვილა 1:1
უიგანი-იფსვიჩი 1:1
უენსდი-სუონსი 3:1
ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი 0:1

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ხეტაფე-რაიო 2:1
სევილია-ბარსელონა 2:4
ალავესი-სელტა 0:0
ბილბაო-ეიბარი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	25	17	6	2	65-25	57
2.ატლეტიკო	24	13	8	3	34-17	47
3.რეალი	24	14	3	7	41-29	45
4.ხეტაფე	25	10	9	6	32-22	39
5.სევილია	25	10	7	8	40-32	37
6.ალავესი	25	10	7	8	25-28	37
7.სოსიედადი	24	9	7	8	30-25	34
8.ბილბაო	25	7	12	6	25-28	33
9.ბეტისი	24	9	6	9	27-30	33
10.ვალენსია	24	6	14	4	24-20	32
11.ეიბარი	25	7	10	8	33-35	31
12.ესპანიოლი	25	8	6	11	28-38	30
13.ლევანტე	24	8	6	10	36-43	30
14.ლეგანესი	24	7	8	9	25-30	29
15.ხირონა	24	6	9	9	25-34	27
16.ვალიადოლიდი	24	6	8	10	19-29	26
17.სელტა	25	6	7	12	36-43	25
18.ვილიარეალი	24	4	11	9	26-31	23
19.რაიო	25	6	5	14	28-43	23
20.უესკა	25	4	7	14	24-41	19

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალბასეტე-ოვიედო 0:0
ხიმნასტიკი-კადისი 2:3
ალკორკონი-ლას პალმასი 2:0
ოსასუნა-სარაგოსა 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ჰერტა 1:0
გლადბახი-ვოლფსბურგი 0:3
მაინცი-შალკე 3:0
ფრაიბურგი-აუგსბურგი 5:1
ფორტუნა-ნიურნბერგი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	22	15	6	1	54-23	51
2ბაიერნი	23	16	3	4	51-26	51
3.გლადბახი	23	13	4	6	42-25	43
4.ლაიპციგი	22	12	5	5	41-19	41
5.ვოლფსბურგი	23	11	5	7	38-30	38
6.ლევერკუზენი	22	11	3	8	39-32	36
7.აინტრახტი	22	9	7	6	41-28	34
8.ჰოფენჰაიმი	22	8	9	5	44-32	33
9.ვერდერი	23	8	8	7	38-34	32
10.ჰერტა	23	8	8	7	35-33	32
11.მაინცი	23	8	6	9	26-36	30
12.ფორტუნა	23	8	4	11	27-42	28
13.ფრაიბურგი	23	6	9	8	34-38	27
14.შალკე	23	6	5	12	25-35	23
15.აუგსბურგი	23	4	6	13	32-45	18
16.შტუტგარტი	23	4	4	15	19-51	16
17.ჰანოვერი	22	3	5	14	20-47	14
18.ნიურნბერგი	23	2	7	14	18-48	13

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-კილი 1:3
დარმშტადი-დინამო 2:0
კიოლნი-ზანდჰაუზენი 3:1
ზ.პაული-ინგოლშტადი 1:0

იტალია. სერია ა

ტორინო-ატალანტა 2:0
ფროზინონე-რომა 2:3

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	24	21	3	0	52-15	66
2.ნაპოლი	24	16	5	3	42-18	53
3.ინტერი	24	14	4	6	34-17	46
4.მილანი	25	12	9	4	38-22	45
5.რომა	25	12	8	5	49-33	44
6.ატალანტა	25	11	5	9	51-36	38
7.ტორინო	25	9	11	5	30-22	38
8.ლაციო	24	11	5	8	33-27	38
9.ფიორენტინა	24	8	11	5	37-26	35
10.სამპდორია	24	9	6	9	40-32	33
11.სასუოლო	24	7	9	8	34-39	30
12.პარმა	24	8	5	11	25-33	29
13.ჯენოა	24	7	7	10	32-41	28
14.კალიარი	24	5	9	10	21-35	24
15.უდინეზე	24	5	7	12	19-31	22
16.სპალი	24	5	7	12	21-36	22
17.ემპოლი	25	5	6	14	30-48	21
18.ბოლონია	24	3	9	12	19-37	18
19.ფროზინონე	25	3	7	15	19-49	16
20.კიევო	24	1	9	14	19-48	9

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ბრეშა-კროტონე 2:0
კარპი-სპეცია 3:2
კრემონეზე-ასკოლი 0:1
პერუჯა-კოზენცა 0:1
პესკარა-პადოვა 2:0
ჩიტადელა-ლეჩე 4:1
ფოჯა-ბენევენტო 1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ნიმი 3:0
ამიენი-ნიცა 1:0
გენგამი-ანჟე 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	25	22	2	1	77-14	68
2.ლილი	26	15	6	5	43-23	51
3.ლიონი	25	13	7	5	40-28	46
4.სტ.ეტიენი	26	12	7	7	36-31	43
5.მარსელი	25	12	4	9	40-34	40
6.მონპელიე	25	9	11	5	32-24	38
7.რეიმსი	25	9	11	5	23-22	38
8.სტრასბური	26	9	10	7	41-30	37
9.ნიცა	26	10	7	9	19-27	37
10.რენი	25	10	6	9	34-33	36
11.ნიმი	26	10	6	10	37-38	36
12.ანჟე	26	8	9	9	29-29	33
13.ბორდო	25	8	8	9	25-26	32
14.ნანტი	25	7	6	12	30-34	27
15.ტულუზა	25	6	9	10	24-36	27
16.ამიენი	26	7	3	16	20-40	24
17.მონაკო	25	5	7	13	24-41	22
18.დიჟონი	25	5	5	15	20-39	20
19.კაენი	25	3	10	12	20-33	19
20.გენგამი	26	4	6	16	18-50	18

ჰოლანდია. ეროვნული

უტრესტი-ექსელსიორი 0:0
ზვოლე-გრაფსხაპი 0:3
სიტარდი-ჰერენვენი 2:4
ბრედა-გრონინგენი 0:0

პორტუგალია. ჰიმეიჩა ლიგა

ფეირენშე-მორეირენშე 1:3
პორტიმორენშე-ავიში 1:1
სეტუბალი-გიმარაეში 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ქსამაქსი-ბაზელი 0:2
სიონი-სტ.გალენი 2:2

შოტლანდია. ჰიმეიჩლიგა

ლივინგსტონი-კილმანროკი 1:0
სტ.ჯონსონი-აბერდინი 0:2
ჰარტსი-სტ.მირენი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ინსბრუკი 3:0
ვოლფსბერგერი-ალტახი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

ეუპენი-ვარეგემი 2:3
ბევერენი-კორტრაიკი 2:6
სერკლი-ოსტენდე 2:2
მუსკრონი-ლოკერენი 1:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ატრომიტოსი 1:1
აეკი-აპოლონი 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

სივასი-ანთალია 1:2
ალანია-ქაშიმფაშა 3:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-ბოჰემიანსი 1905 ..... 0:2
კარვინა-ტეპლიცე 1:1
სიგმა-პრჟიბრჟამი 2:0
ბოლესლავი-იაბლონეცი 1:0

ჰოლანდია. ექსტრალიგა

გურნიკი-სოსნოვიეცი 2:1
გურნიკის პირველი გოლი ვაკო გვილიამ გაიტანა
ლეხი-ლეგია 2:0
ლეხია-ვისლა 1:0

დანია. სუპერლიგა

ვეილე-ნორდსიელანდი 1:3

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

შვილმა გარდაცვლილი მამის წერილი ძველ კომპიუტერში აღმოაჩინა



ნიუ იორკის მკვიდრმა აღმოაჩინა წერილი, რომელიც აწ გარდაცვლილმა მამამისმა კომპიუტერში 33 წლის წინ დაბეჭდა.

იურიდიული სკოლის პროფესორი ჯონ პფაფი მშობლების სახლის სხვენს ალაგებდა და იქ ძველი კომპიუტერი აღმოაჩინა. მან გადაწყვიტა, კომპიუტერი, რომელმაც სხვენში რამდენიმე ათწლეული გაატარა, ჩაერთო.

კომპიუტერი აბსოლუტურად მუშა მდგომარეობაში იყო. პროფესორი აღფრთოვანებული დარჩა, როდესაც ეკრანზე გამოჩნდა წარწერა შეთავაზებით, გაეგრძელებინა ოდესღაც შენახული ვიდეოთამაში.

პფაფმა ყველა არსებული დისკეტი ნახა, რომლებიც 1983 წლით იყო დათარიღებული და წააწყდა წერილს, რომელიც მამამისის მიერ იყო დაწერილი.

– ახლახან ვნახე გზავნილი, რომელიც მამამ 1986 წელს დაბეჭდა, როდესაც მე 11 წლის ვიყავი და საზაფხულო ბანაკში ვისვენებდი, – დაწერა პროფესორმა ტვიტერში საკუთარ გვერდზე.

პფაფის თქმით, მამამისი დაახლოებით ერთი წლის წინ გარდაიცვალა და, მისი მტკიცებით, ისეთი რამის მიგნება, რომელიც მამასთან იყო დაკავშირებული, მისთვის ყველაზე ძვირფასი აღმოჩენაა.

ბრიტანელს საკუთარი ამპუტირებული ფეხისგან ხელჩანთის დამზადება სურს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალბატონმა გამოაცხადა, რომ ეძებს დიზაინერს, რომელიც მისივე საკუთარი კანისგან ხელჩანთას დაუმზადებს. ქალს მისი დამზადება საკუთარი ამპუტირებული ფეხის კანისგან სურს.



ქალაქ მანჩესტერის მკვიდრ ჯოანს მალე ოპერაცია ელის, რომლის დროსაც მისი ფეხის ამპუტაცია მოხდება სისხლძარღვების მძიმე დაავადების გამო. 55 წლის ქალმა აღიარა, რომ მისთვის აუტანელია იმის გაფიქრებაც კი, რომ მისი ფეხის უტილიზირება მოხდება და ამიტომ სურს, საკუთარი კიდურის ბედი თავადვე განსაზღვროს.

ბრიტანელმა მიმართა ვებგვერდს, რომელზე მკერავის მოძებნაა შესაძლებელი. მან დაწერა, რომ მზად არის, ასეთ აქსესუარში სამი ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადოს და ფიქრობს, რომ ამ თანხად საშუალო ზომის ქალის ხელჩანთას მიიღებს.

– მე მესმის, რომ ეს უცნაურად ჟღერს, ვიღაცამ, შესაძლოა, იფიქროს, რომ ჭკუიდან შევიშალე, მაგრამ ეს ჩემი ფეხია და ვერ დავუშვებ, რომ ის სადღაც მოისროლონ. ის ჩემი ნაწილია და მინდა, რომ ჩემ გვერდით იყოს, – განაცხადა ქალმა.

ირლანდიელების ოჯახმა ლატარიის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ჯეკპოტი მოხსნა

ირლანდიის ფინგალის საგრაფოს სოფელ ნოლის მცხოვრებმა ოჯახმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და 153 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო.

ლატარიის ევრომილიონის შედეგები რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი.

– ახალ ამბებში მოვისმინე, რომ პრიზიორი ირლანდიის მკვიდრი გახდა. მხოლოდ სამი ბოლო რიცხვის გაგება მოვასწარი. როდესაც დანარჩენი მომგებიანი რიცხვები ინტერნეტში შევამოწმე, მეტყველების უნარი



დავკარგე. დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ოჯახის ყველა წევრი დამერწმუნებინა იმაში, რომ ჩვენ მართლაც გავიმარჯვეთ, – განაცხადა გამარჯვებულმა ქალბატონმა.

ქალმა ბილეთი ნომრებით 1-8-18-19-39 ლეიბის ქვეშ დამალა და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ირლანდიელმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ მოგებას სიამოვნებით გაუნაწილებს შვილებს, შვილიშვილებსა და ოჯახის მომავალ წევრებსაც.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის როდესაც მისი ოჯახი ლატარიის გამარჯვებული ხდება. რამდენიმე წლის წინ მისმა ერთ-ერთმა დამ 600 ათასი ირლანდიური ფუნტი მოიგო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მედელინში პაბლო ესკობარის 8-სართულიანი სახლი დაანგრიეს

კოლუმბიის ქალაქ მედელინში პაბლო ესკობარის ერთ-ერთი ყოფილი საცხოვრებელი სახლი დაანგრიეს. მის ადგილზე ნარკომოვაჭრის მსხვერპლთა მემორიალი აშენდება. ამის შესახებ BBC წერს.

„მონაკოს შენობის“ სახელით ცნობილი 8-სართულიანი სახლი სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობების საშუალებით საჯაროდ დაანგრიეს. შენობის ნგრევის პროცესს თვალს ესკობარის მსხვერპლთა ოჯახის წევრები და ნათესავები ადევნებდნენ.

პაბლო ესკობარი აშშ-ის ტერიტორიაზე შეტანილი კოკაინის 80%-ს აკონტროლებდა. „კოკაინის მეფედ“ წოდებული ესკობარი ყველაზე მდიდარი კრიმინალი იყო ისტორიაში. 1990-იანების დასაწყისში მისი ქონება 30 მილიარდ ამერიკულ დოლარად იყო შეფასებული.

თავისი საქმიანობის დიდების ხანაში ის მსოფლიოს 10 უმდიდრეს ადამიანს შორის იყო და მის მიერ აშენებულ Hacienda Nõpoles-ში ცხოვრობდა.

პაბლო ესკობარი 1993 წელს შენობის სახურავზე სამართალდამცველებთან ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა.

იმედინიუსი

ჯაჯვოხდი



1. სოფელი გაგრის ზონაში; 2. ნახევარკუნძული საფრანგეთში; 3. წიგნების მაღაზიათა ქსელი; 4. „... ზორბა“ (კ/ფ); 5. რაიმე ნაწარმოების შესავალი; 6. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 7. ესპანური ხალხური ცეკვა; 8. გრძელი შალაშინი; 9. მაიაკოვსკის პიესა; 10. ძალიან ღარიბი; 11. ოქრო-ვერცხლის მოსევადების ტექნიკა; 12. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია; 13. რუმინეთის ფულის ერთეული; 14. ბერძნული ანბანის ასო; 15. დიდი ფორმატის სქელი წიგნი; 16. იუპიტერის თანამგზავრი; 17. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 18. აბატ ფარიას ციხე; 19. საზოგადოებრივ-პოლიტიკური კავშირი, გაერთიანება; 20. შენობის შიგნითა პატარა ეზო საფრანგეთში; 21. კრემიანი ნამცხვარი; 22. ადამიანის მსგავსი ყველაზე დიდი მაიმუნი; 23. ჭეშმარიტად!; 24. წინწილ (ძველებური საკრავი); 25. მწვავე ... ანუ კაუსტიკური სოდა; 26. ... დელონი; 27. სანელებელი; 28. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 29. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 30. ვიოლინოზე უხმოდ. თითის ამოკვრით დაკვრა; 31. ჯაზპიანისტი ... კორეა; 32. ხორცის შეზავებული მოგრძო, შემწვარი კერძი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაზიერი; 2. მარიჯანი; 3. სვანეთი; 5. გეოლოგია; 7. დიადორა; 9. სამტრედია; 13. სისტოლა; 15. არწივი; 16. მაღარო; 18. ომალო.

თარაზულად: 4. ჰალოგენი; 6. კრასნოვი; 8. მიტროპოლიტი; 10. პოდესტა; 11. მითი; 12. კრუიზი; 14. ჰალვა; 17. გენტი; 19. ეწერი; 20. ჯაბახანა; 21. არგო; 22. ლიმნოლოგი; 23. კორსიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პეჟო; 2. აია; 3. კალაჰარი; 4. რა; 5. ჩანტლაძე; 6. ჭაჭა; 7. ბოქსიტი; 10. ლეკი; 11. ბუდაპეშტი; 12. ჯაბახანა; 13. კედი; 16. არემჯი; 18. კატრანი; 19. ხმიადი; 21. დათვი; 24. რაცია.

თარაზულად: 1. პალიტრა; 3. კაჰორი; 8. საღამო; 9. ჟოლო; 14. რკინა; 15. ვეტელი; 17. ბანა; 20. რაპიდი; 22. ძმარი; 23. მოხერი; 25. წრე; 26. მანი; 27. ბრნო; 28. ცურტაველი.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ასტროპროგნოზი 25 თებერვლისთვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

გია დანელია საავადმყოფოში გადაიყვანეს

88 წლის ქართველი რეჟისორი გია დანელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს. სასწრაფო დახმარების ბრიგადა რეჟისორის ოჯახის წევრებმა მას შემდეგ გამოიძახეს, რაც გია დანელიას სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.



რეჟისორის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. ის საავადმყოფოში ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემის გამო მოხვდა. კლინიკაში ჩატარებული პირველადი კვლევებით გია დანელიას პნევმონია დაუდგინდა. ექიმები რეჟისორის მდგომარეობას მძიმედ აფასებენ.

პაატა ბურჭულაძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე ერევანში აღინიშნა

ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრში მსოფლიოში ცნობილი ქართველი ბანის პაატა ბურჭულაძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე სპეციალური კონცერტით აღინიშნა.

საიუბილეო საღამოზე ჯუზეპე ვერდის „ატილა“ შესრულდა. სპეციალურად ამ წარმოდგენისთვის 200-მა მომღერალმა ოპერა საგანგებოდ ისწავლა. საიუბილეო წარმოდგენას სომხეთის მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ.

პაატა ბურჭულაძეს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აურორა ფორუმის კეთილი ნების ელჩის წოდება მიენიჭა.

პაატა ბურჭულაძის სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს აღნიშვნა ამით არ დასრულებულა. ოპერის მომღერალს ბულგარეთში სოფიის საოპერო თეატრში ელოდებიან, სადაც სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს საგანგებო წარმოდგენით აღნიშნავენ.

„საქართველოს ვარსკვლავს“ ნინი ცნობილაძე გამოეთიშა

მუსიკალურ შოუ „საქართველოს ვარსკვლავს“ ნახევარფინალში კიდევ ერთი კონკურსანტი ნინი ცნობილაძე გამოეთიშა. მაყურებლის გადაწყვეტილებით, ნინომ ყველაზე ცოტა ხმა დააგროვა და კონკურსს მიღმა აღმოჩნდა.

ნახევარფინალში მომღერლებმა ორ-ორი სიმღერა შეასრულეს, ერთი – ქართულენოვანი და მეორე – უცხოენოვანი.

„საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალი 3 მარტს გაიმართება. პროექტში დარჩენილი ოთხი კონკურსანტიდან ერთ-ერთი გამარჯვებული გახდება.

საქართველოს წარსადგენად „ევროვიზია 2019“-ზე იბრძვიან ლიზა კალანდაძე, გიორგი ფრუიძე, ოთო ნემსაძე და გიორგი ნაკაშიძე.

სწორედ „საქართველოს ვარსკვლავის“ ფინალში გახდება ცნობილი ის ქართულენოვანი სიმღერაც, რომელსაც ჩვენი ქვეყნის გამარჯვებული ევროვიზიაზე შეასრულებს.

სამგლოვიარო განცხადებები

დგებუაძეების საგვარეულოს კავშირი იუწყება გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლის, სოხუმის კოლორიტის

სოსო დგებუაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გიორგი უშიკიშვილი გიორგი დონაძის წინააღმდეგ

ანსამბლ „ლაშარის“ ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორ გიორგი დონაძეს დაუპირისპირდა.

ამის მიზეზი რუსთავი 2-ის სიუჟეტი გახდა, რომელიც სახელმწიფო ანსამბლის მიერ ოკუპანტ ქვეყანაში გამართულ კონცერტებს მიეძღვნა.

გიორგი უშიკიშვილი:

– საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის ანსამბლი რომ ოკუპანტ ქვეყანაში კონცერტებს მართავს, ეს რა მაგალითი უნდა იყოს სხვა ანსამბლებისთვის? თან სრულიად წარმოუდგენელია, რომ რუსული სიმღერებიც ჰქონიათ რეპერტუარში.

არ ვიცი, რა ვთქვა, იმდენად მოღალატეობრივი საქციელია!!!

ზოგადად, გაურკვეველია ანსამბლმა როგორ მიიღო სახელმწიფო დაფინანსება და ჩემთვის სრულიად მიუღებელია ანსამბლებისთვის დაფინანსების მოპოვების არსებული წესი.

გიორგი უშიკიშვილის განცხადებას ანსამბლი „ბასიანი“ ასე გამოეხმაურა:

– ანსამბლი „ბასიანი“ 2019 წლის უცხოური ტურნეს ფარგლებში 16-22 თებერვალს რუსეთში იმყოფებოდა. კონცერტები გამართა ქართული დიასპორისთვის და ქართული კულტურის, ხალხური ტრადიციული სიმღერის მოყვარულთათვის. სამწუხაროა, რომ ანსამბლის გასტროლი დამახინჯებულად და ცალმხრივად გაშუქდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ინფორმირებული იყო ანსამბლის პოზიციის შესახებ, რეპორტაჟი ისე დასრულდა, რომ „ბასიანის“ მიერ გავრცელებული განცხადება 2019 წლის უცხოური ტურნეს შესახებ სიუჟეტში არ აღინიშნა.

იგულისხმება: ორ კვირაში დაგეგმილი კონცერტები იაპონიაში, შემოდგომაზე იტალიასა და რუმინეთში; განსაკუთრებული, ისტორიული მნიშვნელობის მიწვევა ამერიკაში, „ლინკოლნ ცენტრში“ უკვე მესამედ, შეგახსენებთ, რომ არცერთი „ლინკოლნ ცენტრში“ სტურმობა რუსთავი 2-ს არ გაუშუქებია.

„ბასიანი“ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროზე დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შესაბამისად, მას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან არანაირი ფინანსური შემხებლობა არ აქვს.

ტურნესთვის დაფინანსება „ბასიანს“ არც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან და არც რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციიდან არ მიუღია!

ტელეკომპანიის მიერ თემის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა სპეკულაცია და ანსამბლის მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობაა!

რუისში წინაპართა საფლავები ტრაქტორით მოთხარეს

რუისში ჩასული სცენარისტი აკა სინჯიკაშვილი დაუჯერებელი ფაქტის მომსწრე გახდა – სასულიერო პირებმა ტრაქტორით მოთხრილი წინაპართა საფლავების ადგილას ეკლესია ააშენეს:

– წაიკითხეთ, ეს რა არის აქ მომხდარი!!!

ეს რუისის სასაფლაოა. ჩემი მეგობრის დიდი პაპისა და ბებიის საფლავის სანახავად ავედით და რა დაგვხვდა აქ, ნახეთ!

მთელი სასაფლაო ტრაქტორით არის მოთხრილი და მოსწორებული, ტერიტორია შემოღობილია მონასტერისთვის და საფლავის ქვები ეზოს გარეთ რანაირად ყრია, შეხედეთ.

შევედით მონასტრის ეზოში და გვითხრეს, რომ ტრაქტორით მოთხრილი ადამიანების ძვლები ერთად დამარხეს ერთგან. ძვლები ახლაც შეგხვდებათ ამ ეზოს გარშემო, თუ მოძებნით.

პაპისა და ბებიის საფლავი მოვიკითხეთ და გვითხრეს, ქვა და ძვლები რად გინდათ, სულებისთვის კიდევ ჩვენ ვლოცულობთო.

ათობით საფლავზე ზემოდან ცემენტი დაასხეს და ეზო გააშენეს.

სად ვიპოვოთ ბებიისა და პაპის საფლავი, გვაინტერესებს!

ზედ საფლავის ქვებთან ტუალეტი და საქათმეა დადგმული!

იმ წინაპრების საფლავები კი, ცრემლმორეულები ფეხზე ადგომით რომ ვსვამთ სადღეგრძელოებს, აღარ არსებობს და ქვები ხარახურასავით არის გადაყრილი ახლადგარემონტებული მონასტრის ეზოს გარშემო. ზედ ნაგავი აყრია, კი ხედავთ! ეზოში კი არის გამართული ლამაზი ბაღი და ახალი შენობები!

გვაინტერესებს, ვინ ქნა ეს! შთამომავლებმა სად იპოვონ პაპის საფლავი! ვინმემ არ თქვას, რომ საღვთო საქმეა ეს, თორემ გაგიჟებას ვართ ისედაც!

რუისელი არავინ ხართ? ადით, წინაპრის საფლავის ადგილას ეს დაგხვდებათ, რასაც ფოტოზე ხედავთ! მტერი არ კადრულობდა საფლავების შეურაცხყოფას, რა ჰქვია ამას? თქვენ გვითხარით, თუ იცით ვინმემ პასუხი!

ნოდარიკო და ზუკა ხუციშვილებმა მამის ხსოვნას დუეტი მიუძღვნეს

გიო ხუციშვილის დაბადების დღე მისმა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა და რიგითმა მსმენელმა პირველად აღნიშნეს მის გარეშე. გიოს 57 წელი შეუსრულდებოდა. სპეციალურად ამ დღისთვის მისმა შვილებმა ნოდარიკო და ზუკა ხუციშვილებმა დუეტი ჩაწერეს და მამის ხსოვნას მიუძღვნეს. დუეტის პრემიერა ტელევიზიით შედგა და მან მსმენელისგან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ემოციურად მიულოცა დაბადების დღე განუყრელ მეგობარ გიო ხუციშვილს ნატო გელაშვილმა:

– ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასე მოგილოცავდი დაბადების დღეს... გილოცავ, ხუცო... და მართლაც ვინა სთქვა, რომ ცხოვრების გზა დიდია... ისე შორს გაფრენილხარ, დანახვაც კი ძნელია... ამ ქალაქში გელიან... ხუცო... დღეს უშენოდ მღერიან...

მუსიკისა და დრამის თეატრის მხატვარი ანანო მოსიძე თეირანის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული გახდა

მუსიკისა და დრამის თეატრის მხატვარი ანანო მოსიძე თეირანის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრი ირანში თეირანის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს, სადაც თეატრის დასმა აკუტაგავას მიხედვით დადგმული სპექტაკლი ,,ცხოვრება იდიოტისა“ წარმოადგინა. სპექტაკლის რეჟისორი დავით დოიაშვილია, კომპოზიტორი ნიკოლოზ რაჭველი, მხატვარი ანანო მოსიძე, ქორეოგრაფი კონსტანტინე ფურცელაძე, განათების მხატვარი კი ია ნადირაშვილი.

დავით დოიაშვილის გახმაურებულ სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები არჩილ სოლოღაშვილი, გიორგი ბახუტაშვილი, ნინო მითაიშვილი, ლევან კახელი, ნანა ბუთხუზი და ბუბა გოგორიშვილი.

რიგით 37-ე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე სპექტაკლით ,,ცხოვრება იდიოტისა“ ნომინაციაში საუკეთესო კოსტიუმების მხატვარი გამარჯვებული ანანო მოსიძე გახდა. 235 სპექტაკლიდან ფესტივალის ჟიურიმ 5 საუკეთესო შეარჩია და მათ შორის საუკეთესოდ ანანო მოსიძე დასახელდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6598

ევრო — 3.0162

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4617

100 რუსული რუბლი — 4.0543

ამინდის პროგნოზი 25 თებერვლისთვის

22 თებერვლიდან

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა საღალატოდ

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

19 თებერვლიდან

ჯონატან სვიფტი

გულივერის მოგზაურობა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

26 თებერვლიდან

თედო რაზიკაშვილი

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

თბილისი ევროპის ლიგის ფინალს უმიზნებს

2021 წელს ევროპა ლიგის ფინალი, შესაძლოა, თბილისის დინამო არენაზე გაიმართოს.

კანდიდატი აქამდე რამდენიმე იყო და დარჩა 2 – დინამო არენა და სევილიის სანჩეს პისხუანი. ეს უეფას ვებგვერდსა და ასევე ესპანურ გამოცემებში წერია. იქვეა მითითებული, რომ მასპინძელი სტადიონის შესახებ წლეულს, 29 მაისს გამოაცხადებენ.

ფინალის მასპინძლობის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად მიიჩნეოდა ვენის ერნსტ ჰაპელი, მაგრამ უეფასთვის თბილისი და სევილია უკეთესი ვარიანტი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, 2015 წლის აგვისტოში დინამო არენაზე სევილიამ უკვე ითამაშა უეფას სუპერთასის ცხრაგოლიანი მატჩი, ბარსელონასთან 1:4 აგებდა, 4:4 გახადა ანგარიში და დამატებით დროში მაინც წააგო – 4:5.

უეფამ ეს მატჩი სუპერთასების ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნია.

სევილიის სანჩეს პისხუანზე კი ევროტურნირების გადამწყვეტი თამაში არ გამართულა. თუმცა საერთაშორისო დონეზე გამორჩეული შეხვედრა კი შედგა – 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი – გფრ-საფრანგეთი. 3:3 დამატებით დროში, შემდეგ კი გერმანიამ იმარჯვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იუმორი

...

ბავშვი დედას ეუბნება:
– ხვალ საბავშვო ბაღიდან შენ წამომიყვანე!
– რატომ მე და არა მამაშენმა?
– იმიტომ, რომ მამიკო დაბნეულია.
– და ასე რატომ ფიქრობ?
– იმიტომ, რომ გუშინ, თავისი დაბნეულობის გამო, ჩემ მაგივრად ჩემი დამრიგებელი წაიყვანა და არა სახლში, არამედ იქვე ბაღის საკუჭნაოში!

...

მოსამართლე განსასჯელს ეუბნება:
– სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფისთვის გაჯარიმებთ 500 ლარით. ბრალდებულო, რამის თქმა ხომ არ გნებავთ?
– საერთოდ კი, მაგრამ ასეთი ფასებით...

...

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:
– აბა, როგორაა საქმე, რა ხდება ახალი?
– როგორ უნდა იყოს, ჩვენ მთავრობას რომ ვუყურებ, მალე შემოიღებენ გადასახადს „ისე უბრალოდ“ და ჯარიმას „რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის?“

...

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩვენ ქვეყანაში ფულით თითქმის ყველაფრის გაკეთება შეიძლება!
– ნამდვილად. და ის, რისი გაკეთებაც ფულით არ შეიძლება, შეიძლება ფულისთვის გაკეთდეს.

...

ბიჭი გოგონას მიმართავს:
– გოგონი, ისეთი სახით მიყურებთ, თითქოს სახლში მარტო იყოთ დარჩენილი.

...

მამაკაცს ეკითხებიან:
– სვამ?
– არა.
– ეწევი?
– არა.
– ნარკოტიკებს მოიხმარ?
– არა.
– კი მაგრამ, რით იხსნი დაძაბულობას?
– როდის დავძაბულვარ რო?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცხრა ათასმა ნახევრად შიშველმა მამაკაცმა „ღმერთის“ შესახებად ზედახორა გამართა

იაპონიის აიტი პრეფექტურის ქალაქ ინაძავაში ხადაკა-მაცურის (შიშველი ფესტივალი) გაიმართა.

აღნიშნული ფესტივალის დროს ირჩევენ ე.წ. სინ-ოტოკოს – „ადამიან-ღმერთს“. ითვლება, რომ ის საკუთარ თავზე იღებს ყველა ადამიანურ უბედურებას. იმისთვის, რომ საკუთარი მძიმე ტვირთი სინ-ოტოკოს გადაულოცოს, თავი დაიცვას დაავადებებისა და ავი სულებისგან, ადამიანი მას უნდა შეეხოს, სანამ ის ეკლესიისკენ მიემართება.

წელს სინ-ოტოკო 27 წლის სუკი მაცუმოტო გახდა. ეკლესიის მისადგომებთან მას ფესტივალის ცხრა ათასი მონაწილე უცდიდა. ყველა მათგანს ტრადიციული საცვალი, ფუნდოსი ეცვა.

ნახევრად შიშველი მამაკაცები სინ-ოტოკოს გარს ყვირილით შემოერტყნენ და მასზე ხელით შეხებას ცდილობდნენ. ასევე გზადაგზა ისინი სინ-ოტოკოს წყალს ასხამდნენ, როგორც ამას გაწმენდის რიტუალი ითხოვდა. ამ ბრბოში გზის გასაგნებად მას ერთი საათი დაჭირდა. გზის ბოლოს მას თოკები შემოახვიეს, აყვირებულ მამაკაცებს თავზე გადაატარეს, ხოლო ეკლესიაში შესული ტაშისკვრით გააცილეს.

სმარტფონის კაშკაშა ეკრანმა გოგონას თვალები დაუზიანა

ტაივანის მკვიდრმა თვალების გამოუსწორებელი დაზიანებები მიიღო იმის გამო, რომ ორი წლის განმავლობაში ტელეფონის მაქსიმალურად კაშკაშა ეკრანით სარგებლობდა.

2018 წლის მარტში ქალაქ გაოსიუნში მდივნად მომუშავე 25 წლის გოგონამ, გვარად ჩენმა, თვალებში მწვავე ტკივილი იგრძნო. ის შეეცადა, ტკივილები თვალების წვეთების დახმარებით მოეხსნა, მაგრამ ამან ვერ უშველა, რამდენიმე თვეში ტკივილი უფრო გაუძლიერდა, ხოლო თვალები ჩაუსისხლიანდა.

გოგონამ ექიმს მიმართა. გასინჯვის შემდეგ მას უთხრეს, რომ მარცხენა თვალში მხედველობა 60, ხოლო მარჯვენა თვალში 30 პროცენტით შეუმცირდა. ექიმებმა გოგონას მარჯვენა თვალის რქოვანაზე 500 მიკროხვრელი აღმოაჩინეს. მათ გოგონას უთხრეს, რომ მისი თვალები ისე გამოიყურება, თითქოს „მიკროტალღურ ღუმელში გამოაცხვეს“.

ექიმებმა ამ ყოველივეს მიზეზად დაასახელეს ჩენის ჩვევა, სმარტფონის ეკრანის სიკაშკაშე ბოლომდე ჰქონოდა აწეული.

ჩენს სტეროიდებისა და აღდგენითი პროცედურების კურსი დაუნიშნეს, რომელსაც დღემდე გადის. დროთა განმავლობაში მისი თვალების მდგომარეობა გაუმჯობესდა, თუმცა, ექიმების მტკიცებით, მისი სრულად აღდგენა გამორიცხულია.

ასი წლის წინ გადაშენებული კუ ცოცხალია

უზარმაზარი კუ, რომლის სახეობაც 100 წელზე მეტი ხნის წინ გადაშენებულად აღიარეს, გალაპაგოსის კუნძულებზე იპოვეს.

ამ აღმოჩენის თაობაზე ინფორმაცია ეკვადორის ხელისუფლებამ გაავრცელა. გარემოს დაცვის მინისტრმა მარსელო მატამ განაცხადა, რომ მოზრდილი არსება ექსპედიციის დროს იქნა აღმოჩენილი. ამ დრომდე ამ სახეობის არსებობის ერთადერთ ფაქტად ითვლებოდა კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის დადასტურება, რომელიც 1906 წელს შედგა.

ნაპოვნი კუ გადაშენებულად ვულკანების ამოფრქვევის გამო ითვლებოდა. მიუხედავად სახეობის არსებობის მეცნიერული მტკიცებულებების არარსებობისა, 2017 წელს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა კვლევების შედეგად კუს სახეობა განსაზღვრა, როგორც გადაშენების პირას მყოფი. მოხსენებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ 1964 წელს სახეობის ყოფილი საბინადროს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ნაკბენები კაქტუსებზე, რაც ირიბად ადასტურებდა მათ არსებობას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 1. აივანი, დერეფანი; 5. იტყვიან ცელქ, ცქვიტ ბავშვზე; 7. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი; 9. ვულკანი და ტბა აშშ-ში; 10. ჯამბაზი; 13. უკუსვლა, დაქვეითება; 14. ხისგან ან ლითონისგან სხვადასხვა ნაკეთობის მჩარხავი ოსტატი; 15. შლამის თევზი; 19. სასამართლო საქმის გარჩევა; 20. იაპონური ანბანის ერთ-ერთი გრაფიკული ფორმა; 21. ნიანგის სახეობა; 22. პატარა მფრინავი ცხოველი.

შვეულად: 1. ლომების ოჯახი; 2. ახლად დაყენებული, დაუდუღარი ღვინო; 3. გეოდეზიური ხელსაწყო; 4. სწრაფი ტემპით (მუს.); 6. სადაც მდინარე მიედინება; 8. გარეული ვირი; 11. წინასწარმეტყველი ქალიშვილი ძველბერძნულ ეპოსში; 12. ნუშის ლიქიორი; 16. ... სტრიპი; 17. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 18. უმცროსი მატროსი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ